ეროვნული ბიბლიოთეკა


# თავისუფალი საქართველო

მრგვალი მაგიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

20 IX 1991 ფასი 50 კაპ. № 35 (40)


## შობა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა

**შობა** ყოვლადწმიდისა ქალწულისა მარიამისა — ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაულია.. იგი 8 (21) სექტემბერს აღინიშნება. ამ დღეს მორწმუნენი ღმრთივსულიერი შესხმითა და გალობით ადიდებენ ღმრთის სიტყვის — კაცთა მოდგმის მხსნელად და მაცხოვრად მოვლენილი იესუ ქრისტეს — მშობელს, ქერაბინ-სერაბინთა უზესთაესსა და „ყოველთა წმიდათა პირმშოს", დედობისა და ქალწულების შემაერთებელს, ყოვლადწმიდა დედოფალს — ღმრთისმშობელ მარიამს.

შობა მარადის ქალწულისა — ღმრთის სახიერი განზრახვითა და განგებულებით მოხდა. ღმრთისმშობლად გამორჩეული უბიწო ქალწული მხოლოდ კეთილმსახურ და წმიდა ოჯახში შეიძლებოდა დაბადებულიყო. ღმრთის მამად წოდებული დავითისა და აბრაჰამის წიაღიდან უნდა აღმოცენებულიყო იგი, როგორც საუფლო საყდარი და კვერთხი, წყაროსთვალი ცხოვრებისა და წმიდა მთა სიონი, რომლისაგან უხელოდ გამოეკვეთებოდა „ლოდი საკიდური" — იესუ ქრისტე.

ძველი აღთქმის საღმრთო წერილი უმდიდრესი სახისმეტყველური ფერებით აღწერს ყოვლადწმიდა ქალწულის ამქვეყნად მოვლინებას, მაგრამ ახალი აღთქმა არაფერს გვაუწყებს ამის შესახებ.

ამის გამო ეკლესიაში საკითხავად ძველთაგანვე დაწესებულა აპოკრიფული თხზულება — „თქმული ღმრთისმშობელისა შობისათვის", რომელიც **იაკობის პირველსახარების** სახელწოდებითაცაა ცნობილი. ქართულ ენაზე იგი უძველეს ხანაში უთარგმნიათ (შემორჩენილია ხანმეტობის დროინდელი მისი ერთი ნუსხის ფრაგმენტები) და კარგახანს შემორჩენილა ლიტურგიკულ პრაქტიკაში. იგი შეტანილია, მაგალითად, სახელგანთქმულ ათონურ მრავალთავში (X ს.), სინა-მთის მოღვაწის იოვანე-ზოსიმეს მიერ შემოსილ (983 წ.) ერთ კრებულში, რომელსაც პირობითად „წმიდათა ცხოვრებანი" ეწოდება, და სხვ. საგულისხმოა, რომ სინური მრავალთავიც 8 სექტემბრის საკითხავად ამავე თხზულებას გვთავაზობს — „მისისა შობისაჲ წიგნი წაიკითხონ და შესხმაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ. რომელიცა გინდეს" (იხ. სინური მრავალთავი 864 წლისა, აკ. შანიძის რედაქციით, 1959 წ., გვ. 216).

ამრიგად, ჩვენც, როგორც დღესასწაულის პატივისმცემელთ, გვმართებს კიდევ ერთხელ გადავიკითხოთ „თქმული ღმრთისმშობელისა შობისათვის", რომლის ძველ-ქართული ტექსტი რამდენჯერმეა გამოცემული და დაინტერესებული მკითხველისათვის იოლი ხელმისაწვდომია (იგი გამოსცეს ივ. ჯავახიშვილმა, ქ. გარითმა, აკ. შანიძემ...), ფართო მკითხველ საზოგადოებას კი აქვე ვთავაზობთ აღნიშნული თხზულების მოკლე შინაარსს.

●

მამა ყოვლადწმიდა ქალწულისა — ისრაელის ათორმეტსავე ტომში სახელგანთქმული და მდიდარი კაცი, იოვაკიმე — ღმრთისმოშიშებითა და სიწმიდით იყო გამორჩეული. იგი ყოველთვის ორმაგად შესწირავდა ხოლმე საღმრთო მსხვერპლს და ფიქრობდა: „დაე, ყველაზე მეტი მე შევწირო, ოღონდ უფალმა ისმინოს ჩემი და ცოდვათაგან განმწმიდოსო".

მოახლოებული იყო დიდი საუფლო დღესასწაული. ისრაელის ძეთ საღმრთო მსხვერპლი უნდა შეეწირათ. მსხვერპლთშეწირვისათვის მოვიდა იოვაკიმეც, მაგრამ მას წინ გადაუდგა რუბენი და უთხრა: „შენს მიერ მსხვერპლის შეწირვა არ შეიძლება, რადგან უშვილო ხარ და მემკვიდრე არ მიგიცია ისრაელისათვისო".

შეწუხებულმა იოვაკიმემ იფიქრა: „ნუთუ მარტო მე არ მყავს შვილი მთელს ისრაელში?"

რუბენისათვის არაფერი უთქვამს, წავიდა და შემოიარა თორმეტივე ტომი თავისი ერისა, რათა გამოეკითხა მართალთაგან, ჰყავდა თუ არა თითოეულ მათგანს შვილი. აღმოჩნდა, რომ მემკვიდრე ყველას ჰყოლოდა, და მარტო ის დარჩენილიყო უძეოდ.

მაშინ იოვაკიმეს გაახსენდა მამათმთავარი აბრაჰამი, რომელსაც მხოლოდ ხანდაზმულობისას მისცა ღმერთმა ძე — ისაკი. იფიქრა: თუ ღმერთმა მომხედა, შეიძლება მეც შემეძინოს შვილიო. ამიტომ აღარ დაბრუნებულა თავის ცოლთან, წავიდა უდაბნოში და აღმართა იქ კარავი, რათა ემარხულნა ორმოცი დღე და ორმოცი ღამე.

იოვაკიმემ აღთქმა დადო: „არც ვჭამ და არც ვსვამ, ვიდრე არ მომხედავს ღმერთი და არ შეისმენს ჩემს ვედრებასო".

იოვაკიმეს ცოლმა ანამ არაფერი იცოდა ქმრის შესახებ და ორმაგ გლოვას მოეცვა: გოდებდა ქვრივობასა და უშვილობას.

საუფლო დღე რომ დადგა, მოსამსახურე ქალმა ივთინამ შესთავაზა, — ნუღარ გლოვობ, დღესასწაულის პატივისათვის საზეიმოდ შეიმოსე და ღმერთს თაყვანი ეციო.

შეწუხებულმა ანამ საგლოველი შესამოსელი გაიხადა და საზეიმოდ შეიმოსა. შევიდა ბაღში, დაჯდა ერთი ხის ძირში და ევედრებოდა უფალს: „ღმერთო მამათა ჩვენთაო, მაკურთხე მე და ისმინე ვედრებისა ჩემისა, ვითარცა აკურთხე სარრა სარასი და მიეც ძე — ისაკი".

უეცრად ანას უფლის ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: „ანა, უფალმა ღმერთმა შეისმინა შენი ვედრება. შენ დაფეხმძიმდები და შვილს შობ; შენი შთამომავალი მთელ ქვეყანაზე განითქმებაო".

გახარებულმა ანამ შესძახა: „ცხოველ არს უფალი ღმერთი ჩემი უკუნისამდე; თუ ვშობ ქალს ან ვაჟს, ღმერთსავე მივგვრი სამადლობლად და მასთან იყოს სამუდამოდ" (ეს აღთქმა ანამ თავის დროზე შეასრულა; სამი წლის ასული მან ღმრთის ტაძარს მიაბარა. **ტაძრად მიყვანებაც** ერთ-ერთი დიდი საეკლესიო დღესასწაულია. იგი ახ. სტილით 4 დეკემბერს აღინიშნება).

ამ დროს ანას აცნობეს: „იოვაკიმე, შენი ქმარი; მოდის თავის სამწყსოსთან ერთად". თურმე იოვაკიმესაც გამოსცხადებია ანგელოზი და უხარებია „იოვაკიმ, იოვაკიმ, შეისმინა უფალმა ვედრება შენი; შინისაკენ გასწი. შენი ცოლი დაფეხმძიმდება და შვილს გაგიჩენსო".

წამოვიდა იოვაკიმე უდაბნოდან, მოვიდა თავის მწყემსებთან და უთხრა: „შემირჩიეთ თორმეტი უნაკლო ტარიგი (ბატკანი), რათა მივართვა ჩემს უფალს — ღმერთს; მომგვარეთ აგრეთვე თორმეტი უნაკლო ზვარაკი მღვდელთა და უხუცესთათვის, ხოლო ასი ვაცი — ერისკაცთათვის".

შინისაკენ მომავალ იოვაკიმეს მოეგება ანა, მოეხვია და უთხრა: „უფალმა ღმერთმა დიდი კურთხევა მოგვანიჭა; აწ უკვე ქვრივი და უშვილო აღარ ვიქნებიო".

მეორე დღეს იოვაკიმემ შესწირა ღმერთს მსხვერპლი. უფალმა მსხვერპლი კეთილად მიითვალა და სასწაულებრივი გამოცხადებით აუწყა იოვაკიმეს, რომ მისი მადლის მოვლენით ეს ღმრთივ-რჩეული კაცი უკვე განწმედილი იყო ყოველგვარი ცოდვისაგან.

იოვაკიმე უფლის ტაძრიდან განმართლებული გამოვიდა და შევიდა თავის სახლში.

ანგელოზის სიტყვისაებრ, ანა დაფეხმძიმდა და მეშვიდე თვეს შვა ასული.

„განდიდნა სული ჩემი დღესა ამას", — თქვა მართალმა ანამ.

ასულს მარიამი უწოდეს. ეს სწორედ ის უბიწო ქალწული იყო, რომლისაგან, ვითარცა ცხოვრების წყაროსაგან, უნდა აღმოცენებულიყო მაცხოვარი და განმანათლებელი ჩვენი, „განმაღმრთობელი კაცებისა" (ე. ი. კაცობრივი ბუნებისა) — იესუ ქრისტე.

●

ღმრთისმშობლის შობა მისი წილხვდომილი ქართველი ერისათვის დიდი და საზეიმო დღეა.

ამ დღეს „განდიდნა სული ჩვენი"; ღმერთმა ამ ქვეყნად ჩვენი სასო და სიქადული მოავლინა.

მართლმორწმუნეთ მტკიცედ სწამთ, რომ ღმრთისმშობელი დაუცხრომელი მფარველია ქართველი ერისა და მტერს მის დათრგუნვას არ დაანებებს. იგი დაიფარავს და გადაარჩენს მას ყოველი ძალადობისა და მძლავრებისაგან.

მაგრამ მტერი მზაკვარია და მოსისხლე; წმიდათა შორის უწმიდესის — ღმრთისმშობელი დედის კალთას ამოფარებული სამწყსო მას თვალში აქვს ამოღებული. შინაგანმცემლობა და გაუტანლობაც მისი დათესილია საბრალო შეცდომილთა გულებში. იგი აღაგზნებს მზვაობრობისა და პატივმოყვარეობის, სიძულვილისა და შურის სულს.

მაგრამ ბოროტის ხრიკები ამაოა. დღემოკლეა მისი ზეიმი.

ღმრთისმშობელ დედას წარწყმედისათვის არც ერთი ჩვენგანი არ ემეტება. იგი მაცხოვარს ცრემლით ევედრება, არც ჩვენ ემეტებოდეს ერთმანეთი წარსაწყმედად.

იყავნ ნება მისი!

ევ. ქლოველი



შობა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა (ბიზანტიური და ქართული მინიატურები)

ბიბლიოთეკა

# ხმა „ბნელეთიდან"

**ახე** უიმედოდ არასდროს ვყოფილვარ. მესმის, რომ პირადად ჩემი განცდა არავისთვის საინტერესო არ არის, მაგრამ არა მგონია, რომ მარტო ვიყო ასეთ მდგომარეობაში. ყველა პატიოსანი ქართველი, მთელი ქართველი ერი დღეს უსვამს თავის თავს შეკითხვას, მერამდენედ უნდა დავუშვათ ერთი და იგივე შეცდომა, მერამდენედ უნდა გამოვჭრათ ყელი ჩვენს სამშობლოს და თუ ისევ გვემართება ეს უბედურება, ვართ კი საერთოდ ღირსი ბედნიერების?

მივმართავ ბარიკადების იქით მყოფ საზოგადოებას, მიუხედავად იმისა რომ ჩვენ არ გვესმის ერთმანეთის, და ალბათ ვერც ვერასდროს ვილაპარაკებთ ერთ ენაზე — რამეთუ ზნეობრივი საფუძველი გვაქვს სხვადასხვა. ქართველი ერისთვის, რომლის ნაწილს მე შევადგენ, უაზრო, ბნელი, მორჩილი, ბრბოდგამოცხადებული ჩემი ქართველი ერისთვის უცხოა შური, სიძულვილი, ბოღმა, ღვარძლი, უსინდისობა.

ჩემი ხალხი, რაც არ უნდა გონებადახშული იყოს, ვერასოდეს გაიგებს, ვერ შეითვისებს ბარიკადებს იქეთა საზოგადოების ქცევას. ვერ მიხვდება რა ლოგიკა, პრინციპი ან გამართლება შეიძლება ჰქონდეს შენი ერის მტერთან საკუთარი ქვეყნის დაბეზღებას. ვერანაირი მაქსიმალიზმით (პრინციპულობით) ვერ აუხსნი და ვერ დაარწმუნებ უბრალო ქართველ კაცს, რომ არსებობს რაღაც მაღალი პოზიციები, საიდანაც ბეზღობას შეიძლება გამართლება ჰქონდეს. მისთვის, ვინც ტვინით ფიქრობს, ალბათ, გამოიძებნება რამე ლოგიკური, სოფისტური სავარჯიშო, რომლის წყალობით, ბეზღობა აღარ ჩაითვლება ყველაზე ბინძურ, უღირს, მდაბალ საქციელად, მაგრამ ერი, რომელიც გულით ქვეყნისა და გულითვე საზღვრავს ცხოვრების ავ-კარგს, ვერ შეითვისებს ამ რაფინირებულ გონებრივ სავარჯიშოს, რადგან ეს ეწინააღმდეგება მის არსს, მის მიერ საუკუნეების მანძილზე დაცულ ზნეობრივ კოდექსს, სამართლიანობის რწმენას.

ვერც იმაში ამოგიდგებათ გვერდით ქართველი ერი, რომ ასეთი გააფთრებით ლანძღოთ მისი ქალები. თქვენი უსუსური მცდელობა, მთელი ეს კონფლიქტი წარმოადგინოთ პროგრესული მამაკაცების კეთილშობილურ ბრძოლად აგრესიული, ჭკუიდან გადასული, კლიმაქსიანი ქალების წინააღმდეგ, ვერაფერი ვაჟკაცობაა. რაც შეეხება იმას, თუ რატომ აქტიურობდნენ დღეს ქალები, ამას თავისი სრულიად ობიექტური გამართლება აქვს. ქალებს ნაკლები საშუალება ჰქონდათ სისხლსავსედ მიეღოთ მონაწილეობა იმ ბინძური სტრუქტურების მუშაობაში, რომელშიც ნებით თუ უნებლიედ უხდებოდათ კაცებს გასვრა. ქალები უფრო მეტად იყვნენ დაზღვეული ქრთამისაგან, ლაქუცისაგან, დათმობისაგან, თავმოყვარეობის შელახვისაგან, ვიდრე კაცები. ისინი უფრო გაუსვრელები, სუფთები დახვდნენ იმ ცვლილებებს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მოხდა, უფრო იოლადაც ჩაერთვნენ მათში, რადგან ფსიქოლოგიური ბარიერი ნაკლები ჰქონდათ. ის ქალები კი, რომელთაც საბჭოური წყობის პირობებში უწევდათ აქტიურობა, ლაქუცი, გაძრომ-გამოძრომა, საქმის ჩაწყობა, დღეს თქვენს გვერდით დგანან და მედიდურად გადმოსცქერიან უნივერსიტეტის ტრიბუნიდან თავის უბირ ერს. მაგრამ ეს მედიდურობა ვერ დააბნევს ქართველ ხალხს, რადგან მან იცის, რომ სქესის მიუხედავად ღირსება ღირსებად რჩება და ძუსაც და ხვადსაც ღვთისგან ერთნაირად აქვს მომადლებული ეს მაღალი ნიჭი. ჩვენს ისტორიაში არა ერთი მაგალითია ამის დასტურად, მაგრამ ღირსებისა რა იციან შევარდნაძის ამალაში წამოჩიტებულმა და მის გარშემო ძრომიალში ლაქიად ქცეულმა ვაჟკაცებმა?

ასევე ვერ გაიგებს ქართველი კაცი, რატომ შეიძლება ვინმემ სიცრუე აიყვანოს უმაღლესი ჭეშმარიტების რანგში და შემდგომ ყველაფერი, თვით, თავისი ქვეყნის ბედნიერებაც ამ სიცრუეს შესწიროს. უბრალო, გულმართალმა ქართველმა კაცმა შეიძლება ტერმინოლოგიური სიზუსტე ვერ დაიცვას, მაგრამ თავს არ მოგატყუებინებს, როცა ხედავს, რომ დემოკრატიის სახელით ალალ დიქტატურას სთავაზობ. სხვა არაფერი ჰქვია იმას, რასაც ბარიკადების იქითა საზოგადოება ცდილობს თავს მოგვახვიოს. მოთხოვნა — დემოკრატიის საზეიმოდ გადადგეს პრეზიდენტი, — სხვა არაფერია, თუ არა დიქტატურის დაკანონება. **დიქტატურა გახლავთ კანონიერად, დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების დამხობა და მისი ადგილის უკანონო, არადემოკრატიული გზით დაკავება. დიქტატურა გახლავთ ხალხისთვის ძალადობით თავს მოხვეული ძალაუფლება.** შეიძლება, რომელიმე ჩვენგანს გაუჭირდეს მკაცრ ტერმინოლოგიურ საზღვრებში ამ აზრის ჩამოყალიბება, მაგრამ ყველა ვგრძნობთ, რომ მოტყუებას გვპირებთ და ჩვენი ნებით არ მოვტყუვდებით, თქვენ შეგიძლიათ მოიხმოთ საქართველოში (მერამდენედ უკვე) მტრის ჯარი, გაგვაჩუმოთ (ამიტომაც დარბიხართ ასეთი სიმკვირცხლით „ვრემიასა" და „ვესტი-ტესენებში"), როგორც არა ერთხელ გაგვიჩუმებიხართ (რას იზამ, ძალა აღმართს ხნავს), მაგრამ ლოცვა-კურთხევას ამ საქმეში ჩვენგან ნუ ელით, ვერ ეღირსებით!

ასევე ვერ გამოგადგებით ტაშისდამკვრელად თქვენი. პატივმოყვარეობის საამებლად, დედის მაგინებელ შვილს ქართველი ხალხი ტაშს ვერ დაუკრავს. საზოგადო მოღვაწეს, რომელიც ავტორიტეტს საკუთარი ერის ლანძღვით იხვეჭს, ჩვენ მოღვაწედ ვერ ჩავთვლით. ამიტომ სამწუხაროდ, რა ვქნათ, ვერ გამოგადგებით. სხვა, უკეთესი ერი იპოვეთ სამართავად, ისეთი ერი, რომელიც თქვენი დონის იქნება და გულმხურვალედ დაუკრავს ტაშს თქვენს პოლიტიკურ შესაძლებლობებს. თქვენ ჩვენი ღირსი არა ხართ, კიდეც ამიტომ „იბევებთ" ახალ აუდიტორიებს ცენტრალური ტელევიზიით.

ისიც ვიცით, რომ საკუთარი პოზიციის გამართლების მიზნით, ერის „მაგინებელ" ილია ჭავჭავაძესაც მოიხმობთ არგუმენტად, მაგრამ ვერც აქ დაჯაბნის თქვენი გონი ჩვენს გულს, ბატონებო. ილია ჭავჭავაძე საერთოდ არ არის თქვენი სახსენებელი, უმრავლესობას არც გადაგიშლიათ მისი ტომები. რომ წაგეკითხათ, მიხვდებოდით, საზოგადო მოღვაწეს ერის ზიზღი კი არა, მისი თაყვანისცემა მართებს. თაყვანისცემა უსიყვარულოდ არ შეიძლება, სიყვარული კი სხვისი ინტერესის წამოწევაა საკუთარ ინტერესზე უმაღ, საკუთარი თავის თმობაა. რომელი თქვენგანი ივარგებს ამისთვის? ახლაც ლოზუნგებს გვთავაზობთ და იმის ღირსადაც არა გვთვლით, განგვიმარტოთ, რა დგას ამ ლოზუნგების უკან. რა სიყვარულზეა ლაპარაკი, როცა იმაზეც არ ზრუნავთ, ერს, თქვენს მომავალ სამწყსოს, პროგრამა შესთავაზოთ. კარგი, გადადგა ზვიად გამსახურდია, რომელი ხართ პიროვნულად პასუხისმგებელი ერის წინაშე იმაზე, რომ ქვეყანაში ანარქია არ დაიწყება. რა გეგმა გაქვთ შემუშავებული, რა იქნება თქვენი პირველი ნაბიჯი პრეზიდენტის გადადგომის შემდეგ? რას აპირებთ მანამ, სანამ ახალი არჩევნები ჩატარდება? გიფიქრიათ თუ არა იმაზე, რომ ამას დრო სჭირდება, რომ ვაკუუმი იქმნება? მართლა ისე ბრიყვები გგონივართ, საშუალო ნიჭის რეჟისორებს და მსახიობებს გამართვინოთ ჩვენი ქვეყანა?

რაც შეეხება თეორიულ კამათს იმის შესახებ, თქვენი გონებაა საზოგადოდ უფრო ღირებული თუ ჩვენი გული: უნდა გამოგიტყდეთ, არც ერთი ისეთი გონების პატრონი არა ხართ, ვინმე გააკვირვოთ, კარგად გვახსოვხართ საშინაო თუ საერთაშორისო არენაზე ენაჩავარდნილი. ვიცნობთ თქვენს ლექსებს, ფილმებს, ნაწერებს, სამეცნიერო შემოქმედებას და სრული პასუხისმგებლობით გიცხადებთ, რომ თქვენთაგან უმრავლესობა ჩვენს ეროვნულ საუნჯეს ვერაფრით გაამდიდრებს. ამ საუკუნეს არ გადასცდება თქვენი ნააზრევი.

ხოლო გვაქვს თუ არა ჩვენ უნარი ზუსტად შევაფასოთ ვინმეს ნიჭი და შესაძლებლობა, მოგახსენებთ — ჩვენ საუკეთესო ექსპერტები ვართ. ჩვენ, ქართველმა ერმა 8 საუკუნის მანძილზე ისე შევინახეთ „ვეფხისტყაოსანი", რომ მისთვის არც სიყვარული, არც თაყვანისცემა, არც აღფრთოვანება არ დაგვიკლია. ჩვენ, ქართველმა ერმა ვცანით საქართველოს უგვირგვინო მეფედ ილია ჭავჭავაძე, ჯერ კიდევ მაშინ, როცა თქვენნაირ უჯიშო (ინტელექტუალურ) საზოგადოებაში სერიოზულად იხილებოდა საკითხი იმის შესახებ, აქვს თუ არა თავად ილია ჭავჭავაძეს უფლება, ისე მოიქცეს, თითქოს „პატენტი ჰქონდეს აღებული ერის ჭირისუფლობაზე". ჩვენ, ქართველმა ერმა ვაღიარეთ პოეზიის მეფედ გალაკტიონ ტაბიძე, როცა პოეტების უმრავლესობა ეჭვის ქვეშ აყენებდა მის ნიჭს და სიღრმეს (გახსოვთ, ალბათ, რა კონტაქტები ჰქონდათ იმდროინდელ ქართველ პოეტებს რუს პოეტებთან — ათარგმნინებდნენ ერთმანეთის ლექსებს; სამწუხაროდ, ერთს არ დასცდენია, ჩვენს შორის გალაკტიონ ტაბიძეც არისო). ჩვენ ყოველთვის ვიცოდით ვინ ვინ იყო და ახლაც არ გვეშლება არაფერი. ვაჟა-ფშაველას გენიალობაც დასმულა კითხვის ნიშნის ქვეშ. ჩვენ, ქართველი ერი არც აქ შევმცდარვართ და თუ საერთოდ შემოქმედებაზე იქნება ლაპარაკი, რომელი თქვენგანი შეგვედრებით „ვეფხისა და მოყმის" ან „ჩაკრულოს" შემქმნელებს და შემნახველებს?

სწორედ იმიტომ, რომ ჩვენში ცხოვრობს უკვდავი ძალა სიყვარულის, შთაგონების, აღმშენებლობის, ჩვენ არასოდეს გადავშენდებით, შეიძლება გაგვიჭირდეს, ძალიან გაგვიჭირდეს, რამეთუ თქვენც ჩვენი ნაწილი ხართ და საუკეთესომ, ანუ ჩვენ, ქართველმა ერმა უნდა ვაგოთ პასუხი თქვენს შეცოდებაზე და მერამდენედ დავისაჯოთ იმისთვის, რისი წინააღმდეგიც სათავეშივე ვიყავით, მაგრამ ამჯერადაც გავუძლებთ განსაცდელს, ისევ აღვსდგებით, ისევ ავღორძინდებით, ისევ შევებრძოლებით ჩვენს ბედს, ჩვენს სისუსტეს და ბოლოს და ბოლოს თავისუფლებასაც დავიმსახურებთ.

თქვენ კი, კომედიანტებო! პასუხის გაცემა მოგიწევთ მომავლის წინაშე იმ ბალაგანისთვის, რომელიც მსოფლიოს დასანახად მოაწყვეთ, რომ ჩვენი თავისუფლება გადაგვევადებინათ.

შეგინდოთ ღმერთმა!

**თამარ ებრალიძე**

# სხარტულა ქართველ დემოკრატებზედ

**სხვადასხვაგვარია** ქართველების განწყობილება დღეს. ზოგს შიშის გრძნობა დაუფლებია, ზოგს განგაშისა, ზოგიერთის თვალზე ცრემლსაც შეამჩნევთ, მე კი მიხარია, იქნებ გაგიკვირდეთ, რა ახარებს ამ ოჯახაშენებულსო? მე გეტყვით, მახარებს ის, რომ დემოკრატია ფრთას შლის ჩვენს ქვეყანაში. მართალია ჯერ მხოლოდ საზოგადოების მცირე ჯგუფს აეხილა თვალი, მაგრამ ისიც ვთქვათ, რა სიმძლავრით, რა თავგანწირვით, რა თავდადებით იბრძვიან ისინი დემოკრატიული პრინციპების დასამკვიდრებლად. ისე კი სიცილით ვიგუდები, რომ გამახსენდება როგორ ოსტატურად გააცურეს იმპერიაცა და კომუნისტებიც, რა მონდომებით უკრავდნენ სწორედ ესენი ტაშსა და უქნევდნენ თავებს ყველა ჯურის დიქტატორებსა თუ უზურპატორებს. გულში კი თურმე რა ცეცხლი უგიზგიზებდათ! ცეცხლი დემოკრატიისა რუდუნებით ჩვენამდე მოიტანეს, ამდენ ლაქუცში და ლოკვა-ძრომიალში ჩაუქრობლად გადმოატარეს, ჩვენ კი რით ვპასუხობთ? სირცხვილია, მამულიშვილნო, სირცხვილი!



დემოკრატია ბორკილებს ვერ ეგუება... დეკორატიულსაც კი...

რა გრძნობა ყოფილა ეს დემოკრატიის განცდა?! ოჯახსაც დაგავიწყებს, თავსაც და სამშობლოსაც.

ცოტა უცნაურია ეს თქვენებური დემოკრატიაო — იტყვის მტერი, ძალიან აგრესიულიაო, იქნებ დაამატოს მეორემ, მე კი ვიტყვი — უბრალოდ სპეციფიურია. დასაღუპად რომ არ იქნება ერი განწირული, სწორედ აქა ჩანს. ისე იძალა ჩვენში დემოკრატიამ, რომ არაი დაგიდევენ არც თავისუფლებასა და არც დამოუკიდებლობას. ვაჟკაცობაც ამას ჰქვია, ბარაქალა დემოკრატებო! — ჩვენ თავისუფლება დემოკრატიის გარეშე არ გვინდაო! — აი ჭეშმარიტი ჰუმანიზმის ილუსტრაცია. — ჩვენ პრეზიდენტის გადადგომას ვითხოვთ, არადემოკრატიულიაო, — ითხოვთ და სწორსაც აკეთებთ, უნდა გადააყენოთ, თუ არადემოკრატიული პიროვნებაა! რა ვუყოთ მერე მოსახლეობის 87 პროცენტმა რომ აირჩია და დღესაც მხარს უჭერს? ხალხი ბრბოა და ჩვენი თვალსაჩინო დემოკრატები მას სწორედაც ვერ გაუტოლდებიან.

კარგი დრო კი დაგვიდგა ქართველებს, მაგრამ ჯეროვნად ვერ ვაფასებთ და დასანანია. თუნდაც ის, რომ ერთმორწმუნე რუსეთიც დემოკრატიული გახდა, ვითომ არაფერია? ეს თქვენ გგონიათ, უგუნურო ქართველებო, რომ რუსეთის დემოკრატია მოჩვენებითია, აბა ჰკითხეთ ჩვენს რჩეულ შვილებს — დემოკრატებს?! თქვენ იკითხეთ, თქვე საცოდავებო, თორემ ჩვენს დემოკრატებს უკვე რა ხანია, მეგობრობის ხიდი გაუდიათ რუსეთისა და სხვა მოწინავე ქვეყნების დემოკრატებთან. აფერუმ, თქვენს ვაჟკაცობას! ეს ხალხი აგრერიგად დაუზოგავად ირჯება დემოკრატიის საზეიმოდ და დამფასებელი კი ცოტა ყავს.

მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ, დემოკრატებო! დააწყვეთ კიდევ მეტი ბარიკადები, გათხარეთ ტრანშეები და თუ არ დაგიფასდათ შრომა, ცეცხლს მიეცით მთელი საქართველო, რადგან დემოკრატიისათვის სიკვდილიც კი ბედნიერებაა, თუმცა ეს ჩემზე უკეთ თქვენ მოგეხსენებათ, ჩვენო სახიქადულო, თავდაუზოგავო თანამემამულენო!

**თამარ ბულგანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წერილები რედაქციას

# თანამდებობადაკარგულების პუტჩი

### ღია წერილი პარლამენტის გარეთ დარჩენილ პოლიტიკურ ძალებსა და ბარიკადების ინტელიგენციას

**მინდა** თქვენთან ერთად გავაანალიზო ვინ და რამ მიგვიყვანა აქამდე, რაც დღეს ხდება საქართველოში. ყველაფერი დაიწყო მაშინ, როდესაც გადაწყდა მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება. გავიხსენოთ იმ პერიოდის მოვლენები: ბატონმა ზვიად გამსახურდიამ, დაინახა რა პარლამენტური გზის უპირატესობა, თანამოაზრეებთან ერთად (ვერ დაგაჯერათ რა თქვენ) დატოვა კონგრესი და დაიწყო ბრძოლა საპარლამენტო არჩევნებისათვის. თქვენ ბოიკოტი გამოუცხადეთ ამ არჩევნებს და ჩაატარეთ საკუთარი არჩევნები, რომელიც, ფაქტობრივად, ჩაგეშალათ. თქვენი მთავარი ბრალდება ბატონი ზვიადის მიმართ იყო ის, რომ მან უღალატა კონგრესის იდეას. თქვენის აზრით, რომელი უფრო გამართლებულია, არ გაუწიო ანგარიში საერთო პოლიტიკურ სიტუაციას და დაჟინებით მიჰყვებოდე შენს გზას, თუ — დაინახავ რა უფრო რეალურ და სწორ გზას, გამოიჩინო პოლიტიკური სიფხიზლე და აღიარო, რომ მეორე გზა უფრო სწორია და გაყვე მას?

შემდეგი თქვენი დიდი და მთავარი შეცდომა, ჩემის აზრით, იყო ის, რომ გეგონათ საქართველო ზურგს შეაქცევდა ბატონ ზვიადს და გამოგყვებოდათ თქვენ. ეს იყო დიდი ილუზია, როგორც გამოირკვა, ჩემის აზრით, რეალობის თქვენგან დაუნახაობის კიდევ ერთი დადასტურებაა თქვენს მიერ პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა. ნუთუ ვერ გრძნობთ ყოველივე ამას? მაშ როგორ განდოთ საქართველოს ბედი ასეთ ილუზიებს აყოლილ პოლიტიკოსებს?

დავუბრუნდეთ მოვლენების განვითარებას. შეიქმნა ბლოკი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“. როგორ ფიქრობთ, რისთვის იყო ეს საჭირო? განა ბატონი ზვიად გამსახურდია ვერ მიიღებდა მონაწილეობას ამ არჩევნებში, როგორც ჰელსინკის კავშირის ან ილია მართლის საზოგადოების წევრი?

ბატონ აკაკი ბაქრაძეს უნდა ახსოვდეს, რადგან ამ იდეის მომხრე იყო თვითონაც, რომ ამ ბლოკის შექმნის მთავარი მიზანი იყო ყველა ოპოზიციური ძალის გაერთიანება „მრგვალი მაგიდის“ ირგვლივ და ერთად ბრძოლა არჩევნებში კომუნისტური პარტიის დასამარცხებლად. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, ბატონებო, როგორი იქნებოდა ბლოკ „მრგვალი მაგიდის“ საარჩევნო სია, თუ თქვენ ყველანი ერთად იქნებოდით? ხომ იქნებოდა ეს ყველაზე ძლიერი პარლამენტი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის? მაგრამ თქვენ ეს არ მოინდომეთ და ამით თვითონ მოაწერეთ ხელი თქვენს დამარცხებას. ისევ თქვენი ამბიციები, ისევ დანაწილდით, ისევ დაქუცმაცდით. ყველამ დამოუკიდებლად გადაწყვიტეთ არჩევნებში მონაწილეობა, ზოგმა სასწრაფოდ ახალი ორგანიზაციაც კი შექმნა თავისათვის, ოღონდ არავისთან გაერთიანებულიყო.

ერთი ამერიკული გაზეთი წერდა ამ პერიოდში — „გასაოცარია, რატომ ჩათვალა საქართველოს საზოგადოებრიობამ, რომ უკვე თავისუფალ, დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრობს და ასე „საშინლად“ მრავალპარტიული არჩევნები ჩაატარა? ამით მათ სამ ბეწვის ხიდზე გაატარეს საქართველო“. მართლაც, ბატონებო, ბეწვის ხიდზე გაატარეთ საქართველო თქვენი მართლაც რომ პოლიტიკური ამბიციების გამო. ხომ შეიძლებოდა კომუნისტურ პარტიას გაემარჯვა ამ არჩევნებში? მერე რა პასუხს გავცემდით ჩვენ და საქართველოს ათასწლოვან ისტორიას?

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ, თქვენგან ყოველგვარი დახმარების გარეშე, თავისი ავტორიტეტითა და შრომით (გაიხსენეთ, როგორ იბრძოდა იგი არჩევნების წინ და როგორ თქვენ) დაამარცხა ისეთი ძლიერი მოწინააღმდეგე, როგორიც იყო კომუნისტური პარტია, დიახ, ვიმეორებ, მარტო ერთმა კაცმა, რამეთუ ამ ბლოკს ხალხმა ხმა მისცა მხოლოდ იმიტომ, რომ იქ იყო ბატონი ზვიადი. თქვენ დარჩით პარლამენტს გარეთ, ისევ თქვენი ილუზიებისა და, არ მოგერიდებით, საბედისწერო შეცდომების გამო. მაშ ვინ ყოფილა დამნაშავე, როგორ გამოგყვეთ და დაგიჯეროთ ასეთი შეცდომების შემდეგ?

მინდა გკითხოთ საქართველოს ინტელიგენციის ნაწილს (ზოგიერთების გამოკლებით) — როდის, საქართველოსათვის მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას ბრძოლის რომელ ეტაპზე იდექით მათ გვერდით? მოგახსენებთ — არასოდეს, არც მაშინ, როდესაც ისინი დისიდენტები იყვნენ, არც მაშინ, როდესაც გამოიკვეთა, რომ მათ ბრძოლას შეიძლება რეალური შედეგი მოჰყვეს. მაშ რატომ გწყინთ, რომ აღარ გენდობით? რატომ გიკვირთ, რომ თქვენში დასაყრდენ ძალას ვერ ვხედავთ? ცოტა თვითკრიტიკაც საჭიროა, ბატონებო! მარტო ამბიციებით, ხომ ხედავთ, კარგი არაფერი გამოდის?

რაც შეეხება დღევანდელ მოვლენებს, როგორ დავიჯეროთ, ბატონებო, მაინცა და მაინც 2 სექტემბერს გასკდა თქვენი მოთმინების ფიალა. ასე ზუსტად როგორ დაემთხვა თქვენი გრძნობები რესპუბლიკისთვის ასეთ მნიშვნელოვან მოვლენებს? როგორ დავიჯეროთ, ის ინტელიგენცია მიგვიყვანს ტაძრამდე, რომელიც ჰანტურიას ზურგს უკან და ბარიკადებს ამოფარებული ბედავს ხმის ამოღებას. არ გრცხვენოდათ ბარიკადებზე რომ იდექით და კმაყოფილი უსმენდით, როგორ გიხდიდათ ტრიბუნიდან ჰანტურია მადლობას მობრძანებისათვის? ე. ი. ვინც ტკბილ სიტყვას გეტყვით, იმათი ხართ? რატომ ვერ გაბედეთ რომელიმემ მაინც მთავრობის სასახლესთან მოსვლა? განა ბარიკადის იქით ვინც ვართ, თქვენთვის სხვა ქართველები ვართ?

როგორც გახსოვთ, ცენტრალური ტელევიზიის მიერ გადაცემა „ეზგლიადის“ დახურვის შემდეგ მის შემქმნელებს არ შეუწყვეტიათ მუშაობა. თქვენ რამე გააკეთეთ, ტელევიზიის მუშაკებო, გარდა იმისა, რომ თქვენც, ე. წ. ოპოზიციის ზურგს უკან ამოფარებულებმა გაბედეთ ხმის ამოღება (ძალიან გთხოვთ არ მითხრათ, რომ ეთერში გასვლის საშუალება არ გქონდათ).

მაშ, ამის შემდეგ როგორ დაგიჯეროთ, როგორ გამოგყვეთ?

დაბოლოს რამდენიმე კითხვა:

1. თქვენი სიტყვები რომ დავიჯეროთ, ოკუპირებულ, კოლონიურ ქვეყანაში შეუძლებელია თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, მაშ როგორ მოითხოვთ ჯერ კიდევ ოკუპირებულ ქვეყანაში კლასიკურ დემოკრატიას?
2. საბჭოთა კავშირის რომელ რესპუბლიკაში, მათ შორის ბალტიის რესპუბლიკებში, არის სრული, ჭეშმარიტი დემოკრატია? და თუ არ არის, რომელი რესპუბლიკის ოპოზიციური ძალები გაიძახიან მთელს მსოფლიოზე დემოკრატია არა გვაქვს და მოდით გვიშველეთო?
3. სად, რომელ რესპუბლიკაში ან დასავლეთის ქვეყანაში გინახავთ წასული ზვიად გამსახურდია დახმარების და თანაგრძნობის საძებნელად, როგორც თქვენ?
4. რატომ იყო ბატონი სიგუასათვის თანამდებობაზე ყოფნის დროს სსრკ ბოროტების იმპერია, ახლა კი?..
5. ვინც გვარდიის ნაწილები წაიყვანეთ შავნაბადაზე, არ იცოდით, რას ნიშნავდა ეს ქმედება? და თუ იცოდით, უნდა დაგიჯეროთ, რომ თქვენ უპირველესად საქართველოს ემსახურებით?
6. ვერ ხედავთ, რომ შევარდნაძე ყოველ ინტერვიუში საქართველოს სიტუაციის დრამატიზებას ეწევა? რას მოასწავებს ეს?
7. შეიძლება თუ არა ყოველივე იმას, რაც დღეს ხდება, ვუწოდოთ „თანამდებობადაკარგულების პუტჩი“?
8. რატომ გგონიათ, ვერ ვხვდებით, რომ ეს ყველაფერი კეთდება იმ მიზნით (არა ერთადერთით!), რომ თქვენ დაგეუფლათ პანიკური შიში, — გამსახურდია საქართველოს ისტორიაში შევა, როგორც დამოუკიდებლობის მომტანი პრეზიდენტი, ხოლო თქვენ კი...

დაბოლოს მინდა შეგახსენოთ, რომ თქვენ, ვინც ახლა ბარიკადებს ამოფარებული დგახართ, ბოიკოტი გამოუცხადეთ ყველა არჩევნებს ან ხმა მიეცით სხვა კანდიდატებს, ასე რომ, მხოლოდ ჩვენ, ბატონი ზვიადის ამომრჩევლებს გვაქვს იურიდიული უფლება, მოვითხოვოთ მისი გადაყენება, თუ საჭირო იქნება. თქვენ კი კეთილი ინებეთ და წყნარად დაელოდეთ თქვენი კანდიდატების გამარჯვებას.

**გივი დარჩიაშვილი,**
**სტუდენტი.**

# თოჯინები ვართ ყველანი

**19-21 აგვისტოს** სამხედრო პუტჩი, რომელიც შიდა კაბინეტურ გადატრიალებას უფრო ჰგავდა, კრახით დამთავრდა. დამთავრდა და შეიქმნა რაღაც ახალი პოლიტიკური კლიმატი. ჩვენ თუ არ ვეცდებით ამ პოლიტიკურ ატმოსფეროში გარკვევას, (ჯერჯერობით კი ამ ატმოსფეროს შექმნაში ვღებულობთ მონაწილეობას) როგორც ერს, ალბათ, არაფერი გვეშველება.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთს ჰაერივით სჭირდებოდა პოლიტიკური და მორალური რეაბილიტაცია და აკი მიიღო კიდეც იგი. ძნელი წარმოსადგენია, რომ რვა კაცმა საკუთარი თავის მოსასპობად მოაწყო პუტჩი, სხვა მხრივ კი ყველაფერი კარგად დადგმულ სპექტაკლს ჰგავს.

რა მივიღეთ ამ მოვლენების შემდეგ — თერთმეტკაციანი მთავრობა, რომელიც ჩანასახშივე მკვდარია. ამ შეკოწიწებული თერთმეტკაციანი მთავრობიდან ინიციატივა თავიდანვე ერთ-ერთმა უნდა აიღოს, ხოლო ასეთი პიროვნება რსფსრ-ს პრეზიდენტი ელცინია. ფაქტობრივად ალბათ „სსრკ-ს პრეზიდენტი“ იგი იქნება, რასაც, ცხადია, რუსეთის როლის გაზრდა მოჰყვება, და რუსული შოვინიზმის ფლაგმანადაც მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ბორის ელცინს მოუწევს ყოფნა. რუსეთის ავტორიტეტის ზრდა სსრკ-ს რღვევის პროცესებს გააღრმავებს, მაგრამ ამით სსრკ-ს დაშლის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ იქნება, რადგან პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩნდება ახალი რეალური ძალა, რომელმაც სწორედ ამ მომენტისათვის უნდა შექმნას პოლიტიკური კლიმატი და რომელიც დღეს-დღეობით მხოლოდ ზოგადი ლოზუნგებით გამოდის. ასეთი ორგანო იქნება „დემოკრატიული რეფორმების საბჭო“, რომლის 26-კაციანი შემადგენლობა ახალ მთავრობას შექმნის. მათგან ზოგიერთმა უარი განაცხადა ახლანდელ სსრკ-ს მთავრობის შემადგენლობაში შესვლაზე. მათი უმეტესობა ფართო აუდიტორიისათვის უცნობია, მაგრამ მასში შედიან დასავლეთისათვის აღიარებული პოლიტიკური ლიდერები (შევარდნაძე, იაკოვლევი, პოპოვი, სობჩაკი და სხვ.) ამ თვალსაზრისს ადასტურებს რამდენიმე დღის წინ, ბეიკერთან შეხვედრისას, ე. შევარდნაძის მიერ გაკეთებული განცხადება კიდევ ერთი მოსალოდნელი გადატრიალების შესაძლებლობაზე. მოდით ვიფიქროთ, ვის წინააღმდეგ იქნება მიმართული ახალი გადატრიალება. ცხადია სსრკ-ს ახლანდელი მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც შიდა სოციალური და პოლიტიკური პრობლემების გამო აუცილებლად დადგება კრიზისის წინაშე. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია რ. ხასბულატოვის მოგზაურობა იაპონიაში, სადაც მან დიდი კრედიტები (8 მილიარდი დოლარი) მოითხოვა კურილიის კუნძულების გარკვეული დათმობების ხარჯზე, ე. ი. რუსეთი არ ელოდება დახმარებას დასავლეთიდან და მოსალოდნელი კრიზისის თავიდან ასაცილებლად სხვა პარტნიორებს ეძებს. სწორედ ასეთ დროს გამოვა სარბიელზე ის დიდი „დემოკრატია“, რომელმაც ნაციონალობა არ იცის და რომელიც შეეცდება სსრკ-ს შენარჩუნებას შემდეგი პრინციპების ჩამოყალიბებით: სსრკ-ს ტერიტორიის შტატებად დაყოფა და ყველა ეროვნული უმცირესობისათვის შტატის სტატუსის მიცემა (სახაროვისეული ცნობილი პროექტით). დამეთანხმებით, რომ რღვევის პროცესები თვით რუსეთში თანდათანობით იკვეთება, მაგ. თათრისტანის და სხვა ავტონომიის სწრაფვა სრული დამოუკიდებლობისაკენ, ამიტომაც ამ პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზა სწორედ ზემონათქვამი ვარიანტია, რომლის პოლიტიკური ლოზუნგი ნაცვლად „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ იქნება „დემოკრატებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“. ამრიგად მოინდომებენ ზოგადი პოლიტიკური სივრცის შექმნას რატომღაც მხოლოდ სსრკ-ს ფარგლებში. სწორედ ასეთ სტრუქტურას ელოდება დასავლეთი და ვფიქრობთ ამიტომაცაა სხვადასხვა საბაბით ინვესტიციები შეჩერებული. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია დესტაბილიზაციის პროცესების გაღრმავება რესპუბლიკებში, თუმცა სხვადასხვა რესპუბლიკებში მათი მოქმედების პრინციპი სხვადასხვა იქნება. ჩვენთან შიდა განხეთქილება ქართველებს შორის (შემონახული კოზირები — აფხაზეთი, შიდა ქართლის ოსური მოსახლეობა). სომხეთში და აზერბაიჯანში ყარაბახის პრობლემა, მოლდავეთში შიდა სუვერენიტეტის გაღრმავება. დესტაბილიზაცია დაიწყება რუსეთშიც, მოსკოვში, რუსეთის მთავრობასა და მოსსოვეტს შორის, რუსეთის შიდა სუვერენიტეტული პარადი, რასაც მოჰყვება ავტონომიების რესპუბლიკებად გამოცხადება და მათი პრეზიდენტების არჩევნები, ხოლო ყველა ამ პროცესს დემოკრატიული რეფორმების საბჭო ზოგადი დემოკრატიული ნიღბით მხარს დაუჭერს. პროცესები წავა ზემოთჩამოყალიბებული სცენარის მიხედვით. ამ დიდ პოლიტიკურ თამაშში ხომ არ ვასრულებთ ჩვენ სათამაშოს როლს? ვინ არის დღეს ჩვენთან არსებული დესტაბილიზაციის გაღრმავებით დაინტერესებული? ცხადია, ამით არ უნდა იყოს დაინტერესებული ჯანსაღი ოპოზიცია, რომელიც წესით, უნდა იბრძოდეს დემოკრატიზაციის პროცესების გაღმარვებისათვის კონსტიტუციური მეთოდებით და რომლის სწრაფვა ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოების შექმნისათვის მისასალმებელი იქნებოდა, ამით დაინტერესებულია ადამიანთა გარკვეული ნაწილი, რომელიც დიდი „დემოკრატიის“ ნიღბით, ყველანაირი ძალისხმევით, ცდილობს გააღრმავოს კრიზისული სიტუაცია ჩვენს ქვეყანაში. ყველა პირობას ქმნის იმისათვის, რათა მესამე გარეშე ძალა ჩაერიოს ჩვენს პრობლემებში და გადაგვიწყვიტოს ისინი, რაც ამ მესამე ძალას კარგად ეხერხებოდა ყოველთვის. ნუ ვიფიქრებთ, რომ ის ვინც ამჟამად დიდ პოლიტიკას ეთამაშება, აქ ჩამოსვლით შეიწუხებს თავს. ჩვენ მისთვის პატარა ლუკმა ვართ ჯორჯიას შტატის ტიპის, რომელსაც შესანიშნავად მოუვლის სახელდახელოდ შექმნილი მარიონეტული მთავრობა. ამიტომ დღეს როგორც არასდროს, უდიდესი სიფრთხილე გვმართებს, დღეს როგორც არასდროს უდიდესი მიმტევებლობა უნდა გამოვიჩინოთ ყველამ და ერთმანეთისაკენ ნაბიჯი გადავდგათ, რადგან ჩვენ ამ ჩვენი პატარა მიწის გარდა, სხვა არ გაგვაჩნია. ნუ ვიქცევით სათამაშოებად იმ ხალხის ხელში, რომელთათვისაც ჩვენ მხოლოდ რეგიონალური საკითხი ვართ.

პარტიულ ამბიციებზე, წყენაზე მაღლა დავდგეთ. საკითხი დემოკრატიული არჩევნებით არჩეული პრეზიდენტის გადადგომაზე ყოვლად ანტიდემოკრატიული და სასაცილოცაა, იგი ქუჩის პოლიტიკოსობას ჰგავს. საკითხი უნდა იდგეს ისეთი პარლამენტის შექმნაზე, რომელიც ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფოს შესაფერისია და სადაც პოზიციაც და ოპოზიციაც კონსტრუქციულად ითანამშრომლებს. მოვუსმინოთ იმათ, ვისაც კონსოლიდაცია სურს, ილაპარაკოს იმან ვისაც კონსტრუქციული წინადადებები აქვს. გავერთიანდეთ საქართველოს თავისუფლების იდეით, მისი ჭეშმარიტი, ჯანსაღი სიყვარულის გზით, რამეთუ საქართველოს თავისუფლებამ კარზე მოგვიკაკუნა და ხელს ნუ ვკრავთ მას.

**მაია ბერიძე,**
**ზოთა მალაშხია**

# თბილისელი მოქალაქის ღია წერილი

### ქალბატონებს ნ. კიკნაველიძესა და თამარ ებრალიძეს

**არც** ერთ თქვენგანს არ გიცნობთ. არც მაქვს სურვილი გაგიცნოთ.

გაზეთ „თავისუფალ საქართველოში“ გამოქვეყნებულმა წერილმა „ქალაქის მმართველობას ვთხოვთ გასცეს პასუხი 1200 თბილისელ ოჯახს“ აღმაშფოთა და მიბიძგა გამოვხმაურებოდი ამ წერილის ორივე ავტორს ნ. კიკნაველიძეს და თ. ებრალიძეს. მართალია პუბლიკაციას ხელს აწერს თამარ ებრალიძე, მაგრამ შინაარსი მისი მთლიანად ნ. კიკნაველიძისაა და არა „ყველა თბილისელის“, „1200 თბილისელი ოჯახის“, ან „ვაკის მოსახლეობის,“ როგორც ამ წერილშია. ჯერ ერთი ვინ, როდის გამოკითხა 1200 ოჯახის წევრები, ვაკის მოსახლეობა, ან მით უფრო ყველა თბილისელი. აი, მე გახლავართ ერთერთი თბილისელი, ყოფილი უნივერსიტეტელი. ჩემთვის არავის არაფერი შეუკითხავს და ჩემი სურვილია, რომ სწორედ ამ ადგილზე — სტუდქალაქის ტერიტორიაზე აშენდეს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთათვის ბინები და არა სხვა რეგიონებიდან მოსულთათვის. მეორეც გაზეთის თანამშრომელს მეტი დაკვირვება მართებს, როცა პუბლიკაციას ამზადებს: სათაურში 1200 ოჯახი „თბილისელია“, ხოლო ტექსტში „თბილისური“. თუ ოჯახია იგი ალბათ თბილისურია, ხოლო პიროვნება — თბილისელია. იურისტის დასაწუნებელ პუბლიკაციას არ უნდა ამზადებდეს ჟურნალისტი (ალბათ ფილოლოგი!). სხვაც ბევრია დასაწუნი.

საოცარია პუბლიკაციის ავტორთა მსჯელობა. ნუთუ მათ ჰგონიათ, რომ ასე უნიათოდ და აბსტრაქტულად დაწერილი წერილი ქალაქის მესვეურებს, ან სხვა ვინმეს გულს აუჩუყებს და ტირილს დააწყებინებს: ეს რა უქნიათ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სახლის ასაშენებელი ადგილი წაურთმევიათ

(დასასრული მე-6 გვ.)

# „ხიმართლე, მხოლოდ სიმართლე“

სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების გაზეთ „სარანგის“ ამა წლის 15 აგვისტოს მე-4 ნომერი უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა, მაგრამ ნომერში საზოგადოების გამგეობის სახელით (ზოგიერთი წევრის — კ. ფ.) გამოქვეყნებული ერთ-ერთი პუბლიკაცია, ჩემი მისამართით გამოთქმული აშკარად ყალბი და უსირცხვილო ბრალდებებით, ჯერ კიდევ ზემოქმედებს ადამიანთა გონებაზე და მოითხოვს ჩემგან პასუხს.

მაინც რამ აღაშფოთა ამ სერიოზული ორგანიზაციის გამგეობა და რაში ცდილობს იგი ჩემს მხილებას? შევეცდები სათანადო პასუხი გავცე ჩემს ოპონენტებს და ვაჩვენო რა მორალური კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდნენ ისინი, როდესაც „მამხელდნენ“ სიცრუეში. „ჩვენ არ ვითხოვთ შებრალებას ჩვენი ყველაზე კარგი მტრებისაგან“ — უთქვამს დიდ ქართველს. მე დავამატებდი — ასევე იმათგანაც ვინც ჩვენ სულის სიღრმემდე გვიყვარს. მტრები არიან ისინი, მოყვარენი თუ მტერ-მოყვარენი, მაინც ქართველები არიან. ამიტომ, ნება მომეცით ვთქვა სიმართლე და მხოლოდ სიმართლე. მოჩვენებით სიზუსტეს ვპასუხობთ სიზუსტით და მოდით, ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვეთ „ცილისწამებებს“, რაზეც ლაპარაკი იყო გაზეთ „სარანგში“.

## „რაღაა იგი სიმართლე...“

„სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ ოპონენტთა პირველი ბრალდების „სრული“ ჭეშმარიტება. მართლაც, უზენაეს საბჭოს მარნეულის რაიონთან დაკავშირებით საგანგებო კომისია არ შეუქმნია. მაგრამ ეს „აღიარება“ ცვლის თუ არა საქმის არსს? შეიძლება ცვლის, მაგრამ არა ოპონენტთა სასარგებლოდ. ბატონო ოპონენტებო, იგივე „გამგებლებო“ (ასე მოგმართავთ მომავალში როგორც თქვენი ორგანიზაციის გამგეობის წევრებს), გთავაზობთ მარტივ გამოცანას. რა შეცვლიდა რაიონის ყოფილი პრეფექტის ა. მაჭავარიანის საქმიანობას, რომ ჩვენი კომისიის ნაცვლად, უზენაესი საბჭოს საგანგებო კომისიას შეესწავლა? ამ შემთხვევაში, პრეფექტის საქმიანობაში არსებული დანაშაულობანი და კანონიერების უხეში დარღვევები მთვარეზე გაფრინდებოდა? მეორ-...

ჩვენ ინტერვიუში ... ვთქვით, რომ „სამი-ოთხი ... რნეულის რაიონიდან უზე... ქოში განუწყვეტლივ ... უამრავი საჩივარი როგო... ფექტის, ასევე რაიონის ... ლმძღვანელი მუშაკების ... საჩივრებში მითითებულია ... გორ ქრება რაიონში ... სხვადასხვა სახის პროდუქ... რომ მომხმარებლამდე არ... დის“. კომისიას სწორედ ... თხი უნდა გაერკვია. რა ... მოწმებამ? ის, რომ რაიო... ილი ჰქონდა სერიოზულ ... ვებს. კერძოდ, ჩვენ ... რომ მარნეულის რაიონში ... დო საბუთებით შემოტა... ქონელი საკმარისი იქნებო... ლი საქართველოს მოსახ... ად. ეს არის: კარაქი, შა... თი, ყავა, სიგარეტი, ... ქანების ნაწილები, მაცივ... ლევიზორები და ა. შ. ... სატანად რესპუბლიკის ... გარეთ უზარმაზარი თანხ... ირიცხა. საბუთების მიხედ... ლა ეს პროდუქცია განაწ... იქნა რაიონის სავაჭრო ... დავადგინეთ თუ — სად. ... მოწმებამ აჩვენა, რომ გა... ებს არაფერი სმენოდათ ... საქონელზე. ზოგიერთი ... აც არ არსებობდა. აგვიხს... ისინი პრეფექტურაში ინა... დგან აქედან ნაწილდება... გვარი პროდუქცია, ბოლო... ვლიეთ, თუ სად ინახებო... იციალურად სახელმწიფ... შემოტანილი ძვირადღირე... პონური მაგნიტოფონები, ... ზორები, ჩინური თერმო... ა. შ., გაირკვა, რომ მ... არარსებული საქონელი, ... ოფიციალურად მიწერილი ... ლაზიებზე, გამგეებზე და ... ველებზე — სახლში ჰქო... ლებული. დავათვალიერეთ ... თი ასეთი „მაღაზიის საწყ... აღმოვაჩინეთ უზარმაზარ... ად ქცეულ კერძო სასახლ...

შემოწმებამ ასევე აჩვ... რაიონში შეტანილი დიდ... ენობის სხვადასხვა სახის ... ქტები, პირველ რიგში, ... ქარი, კარაქი და არც ... ზემოთჩამოთვლილიდან ... არ გამოჩენილა მაღაზიის... ზე. ის თვალითაც არ უნ... მხმარებლებს. არის, ბატ... კანონების უხეში დარღვე... ნაშაული? გააბათილეთ ... ეს ბრალდებანი? რა თქ... არა. მაშ, რას ემართლებ...

# „რა შუაშია ფოსფორის შუქი...“

## ანუ

## ვის როგორ ესმის თავისუფლება

... საზოგადოების ყოფილი წევრები არ იყვნენ ახლახან თბილისში დაპატიმრებული პიროვნებები, რომლებიც ეწეოდნენ დანაშაულებრივ ქმედებებს? ისინიც უცოდველნი არიან? საიდან ასეთი საეჭვო თავგამოდება „ორდენის წევრთა“ მიმართ?!

## მართლაც, რა შუაშია ფოსფორის შუქი

საფლავი ღამით, ზოგიერთი ანათებს მხოლოდ, ხოლო მარნეულის რაიონის საქმე ბევრი ჩვენთაგანის ზნეობის სილატაკეს აშუქებს. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ პატივცემულ „გამგებლებს“ არ უყვართ სამშობლო, მაგრამ ეტყობა ზოგიერთ მათგანს იგი თავისებურად უყვარს.

ჩვენ? ჩვენ კი ისეთი საქართველო გვინდა, სადაც უზენაესი იქნება მხოლოდ და მხოლოდ კანონი. დიახ, ჩვენ კანონის დიქტატურის მომხრენი ვართ და ვისაც ვერ გაუგია ცივილიზებულობის ამ უპირველესი საფუძვლის აუცილებლობა, ჯობია დროზე მოეგონ გონს. წარსულის დამსახურება თამასუქი ან ინდულგენცია როდია, რათა დღევანდელი ცოდვები მოგვეტევოს. პირიქით, წარსული მეტს გვავალებს. მაგრამ ვისაც ვერ მოუშორებია „ბლაჭიაშვილობის“ კომპლექსი, ჯობია დროზე გადგეს განზე...

# როგორ ყიოდა ხოხობი

## ქართველ მონადირეთა გასაჭირი



არც საქართველოს მონკავშირის პრეზიდიუმი ჩამორჩა და რამდენიმე რაიონის სანადირო სავარგულების შეერთებით გამსხვილებული სამონადირეო მეურნეობების შექმნა გადაწყვიტა. ასე ჩამოყალიბდა დიდგორის, ჰიათურის, საირმის მეურნეობები, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამ ექსპერიმენტმა ვერ გაამართლა. პირიქით, ამ გამსხვილებული მეურნეობების სავარგულებში თითქმის პირწმინდად ამოწყდა ძვირფასი სანადირო ობიექტები, გაპარტახდა სამონადირეო სახლები, ჩამოიწერა ან გაიყიდა არსებული ტრა-...

...ლია!). ყველა რაიონს, რა თქმა უნდა, ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ მონადირეებმა კარგად იციან, რა ხდება მათ რაიონებში.

ასე იყო დღემდე და ამ განუკითხაობას ყოველნაირად უწყობდა ხელს მონკავშირის პრეზიდიუმი. იფლანგებოდა და იკარგებოდა საზოგადოების, ჩვენი, მონადირეების და მთლიანად საქართველოს ქონება. ძველი ტენდენციები დღესაც გრძელდება. ახლა, გომარეთის სანადირო სავარგულებში აშენებულ მონადირის სახლს დაადგეს თვალი. ... კირისხევის მეურნეობა... რეზერვატს გვედავებიან. ...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ ყიოდა ხოხობი

(დასასრული)

სტად 4 თვის შემდეგ, მეურნეობის დირექტორი, ბატონი გიორგი წინამძღვრიშვილი, რომელსაც 165 000 მანეთის ზარალი აღმოუჩინეს — გაათავისუფლეს სამსახურიდან. მანამდე კი, „ბეჯითი მუშაობისათვის“ — პერსონალური ავტომანქანა გაზ-24 შეასყიდეს ხელმისაწვდომ ფასებში. სახოხბეზე განუკითხავად იწერებოდა ათეულობით ტონა კომბინირებული საკვები, პროდუქცია კი რაღაც მაქინაციებით ბაზარზე ხვდებოდა, იმ მცირე შემოსავალსაც კი უზომოდ გაბერილი შტატები ნთქავდნენ: იმართებოდა თათბირები ხან მუხრანში, ხან თბილისში, თათბირები პურის ჭამით და ღოლ-გარმონით მთავრდებოდა, გამოსავალი კი არ ჩანდა. ბოლო წლებში, მონკავშირის პრეზიდიუმის სარევიზიო საბჭოს და შტატიან სარევიზიო ჯგუფს ერთხელაც არ შეუსწავლია მუხრანში არსებული ვითარება. რევიზიები ნორმალურ ხასიათს ატარებდნენ და შედეგიც სახეზეა.



გიორგი წინამძღვრიშვილის გათავისუფლების შემდეგ პრეზიდიუმა მეურნეობის დირექტორად დაინიშნა სრულიად გამოუცდელი ნადირობათმცოდნე ი. ღუტიშვილი. თუმცა იქაურ ჩაფლავებულ საქმეს ბევრი გამოცდილი მუშაკიც ვერ [გა]უვიდოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ გაერკვა რა სიტუაციაში, ახალმა დირექტორმა სულ მალე აიცრუა გული საქმეზე და სახოხბე და მისი მიმდებარე ტერიტორია ახლა მთლიანად საქმოსნების ხელშია. ბოლოს საბოტაჟმაც იჩინა თავი და წელს ორასამდე წამოზრდილი ხოხბის ლაპი ერთ დღეში მოწამლეს!!! ამ საქმეს პროკურატურა იძიებს, მაგრამ იმას ვინლა გამოიკვლევს თუ სად გაქრა მონადირეების საწევრო ანარიცხებით შეგროვებული მილიონობით მანეთი? რატომ აძლევდა ასე უმიზნოდ მონკავშირის პრეზიდიუმი სახოხბე მეურნეობას წლების მანძილზე ასობით ტონა კომბინირებულ საკვებს?

ანეკდოტური სიტუაციაა სამტრედიის რაიონშიც, სადაც არსებულ, გასული ღორის რეზერვატში ბოლო 7-8 წლის განმავლობაში სულ 20-25 ღორია. სულადობა არ მატულობს შემოღობილ სავარგულში, კომბინირებული საკვები კი ათეული ტონობით იწერება. გამრავლება კი, თურმე, იცით რატომ არ ხდება? როგორც წარმოდგენილ აღრიცხვაში ვკითხულობთ, ღორების სულადობის უმრავლესობა კერატებია (ე. ი. მამრობითი სქესის.) ამიტომაც არ ხდება ინტენსიური გამრავლება.

ეს ფაქტი უდავოდ სასაცილოა (სატირალი რომ არ იყოს ჩვენი ტახების ამბავი), მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება და უმეტეს სავარგულებში, რეზერვატებსა თუ ხელოვნურ საშენებში მსგავსი სიტუაციაა.

შარშან, მონკავშირის საბჭოს ერთ-ერთ პლენუმზე. პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, ბატონმა ნიკო მგელიაშვილმა ბრძანა, რომ ბოლო 10-15 წლის მანძილზე, ე. ი. მისი თავმჯდომარეობის დროს, მონკავშირის მრეწველობა და წარმოება 5-ჯერ გაიზარდა, შეიქმნა უამრავი საწარმოები და ობიექტები და, რა თქმა უნდა, გაიზარდა მოგებაცო.

ბატონო ნიკო! მიპასუხეთ რას მოხმარდა ის 15 მილიონი მანეთი, რომელიც თქვენ დაგვხდათ სამსახურში მოსვლისას? იქნებ ეს თანხა იმ სახოხბე მეურნეობას მოახმარეთ, სადაც ხოხბებმა ყივილით არემარე აიკლეს?

ბოლო წლებში მონკავშირის პრეზიდიუმმა შექმნა სამშენებლო უბანი, რომლის უფროსად თავმჯდომარის შორეული ნათესავი, ვინმე ჯიმშერ ბიჩინაშვილი დაინიშნა. სამშენებლო უბნის შექმნამ ყველა გაახარა, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ბიჩინაშვილს ტყისკენ არ გაუხედია, იოლ საქმეებს დაუწყო მებნა და უმალვე მიაგნო. მშენებლობას და შეკეთებას ე. წ. „მიწერები“ ამჯობინა და წელიწადში ამ სახით 200 ათას მანეთს გადააჭარბა. გაიფლანგა და ჩამოიწერა უამრავი სამშენებლო მასალა, გაიცა ხელფასები. მარტო მუხრანის ტერიტორიაზე არსებულ ყოფილ დიდგორის მეურნეობაში — სათბურის მშენებლობაზე 60 ათასი მანეთის მიწერა გაკეთდა. მონკავშირის პრეზიდიუმის მიერ სესხად გაცემული ეს თანხა წელს ჩამოიწერა, მეურნეობა დიდგორი კი სასწრაფოდ გადაკეთდა კოოპერატივად, რათა იქ არსებული დარღვევები მიჩუმათებულიყო.

სამშენებლო უბანმა ასევე „წარმატებით“ შეაკეთა მონკავშირის მრავალდარგოვანი კომბინატის პოლიეთილენის საამქროს შენობა და 100 ათას მანეთამდე გამოსტყუა პრეზიდიუმს სამეოთხედოდ შესრულებულ სამუშაოში. მონკავშირის პრეზიდიუმს კი დღემდე ვერ გადაუწყვეტია მისცეს თუ არა პასუხისგებაში საქმეთა მწარმოებელი, ვინმე კერესელიძე, რომლის ინიციატივით შესრულდა ეს „ბრწყინვალე“ სამუშაოები. ისიც უნდა ითქვას, რომ დღემდე არც მონკავშირის პრეზიდიუმის სარევიზიო საბჭოს და არც შტატიან სარევიზიო ჯგუფს ეს საკითხი სერიოზულად არ შეუსწავლია და არ შეუმოწმებია.

მონკავშირს წარმოება ყოველთვის ჰქონდა, მაგრამ ბოლო ათწლეულში ის საგრძნობლად გაიზარდა. მონკავშირს ნება დაერთო მრეწველობის სხვადასხვა სახე განევითარებინა, მხოლოდ თავისი პროფილის მიხედვით. კეთდებოდა ყველაფერი — პოლიეთილენის პარკები, ბურთულა მაცივრები, სუვენირები. იქმნებოდა ყანწის თუ მაყალის გამომშვები საამქროები, მონადირულ საქონელს კი მხოლოდ თბილისის ქარხანა უშვებდა, მაგრამ ქარხნის ხელმძღვანელობის უნიათობის გამო, ქალის ხალათების კერვაზე გადავიდა.

ორიოდე სიტყვით მონკავშირის საბითუმო-საცალო სავაჭრო გაერთიანებაზე. ეს ის რგოლია, რომელიც მთელი თავისი შეგნებით არ არის მოწოდებული მონადირეთა სამსახურისათვის. ბოლო 3-4 წლის განმავლობაში ბაზამ ათასობით სანადირო თოფი და ასეულ ათასობით ვაზნა გაასაღა და თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ 1989 წლის აპრილიდან მონკავშირის მაღაზიებში თოფი არ გაყიდულა, მიხვდებით თუ როგორი გზით იყიდება სანადირო იარაღი და ვისთვისაა ეს ხელმისაწვდომი. ზოგიერთ რაიონში კი ისე გაკადნიერდნენ, რომ ფისტონს კოლოფით კი არა, ცალობით და ასმაგად ჰყიდდნენ. გნებავთ თოფი — მიბრძანდით ბატონ ვანო უგულავასთან, რომელიც არხეინად განაგრძობს თავის საქმიანობას, დღითიდღე ავიწროებს სისტემის სავაჭრო მაღაზიებს, თავს იფასებს, მაზანდას იწევს, იცის, ვერ მოერევიან, რადგან მონკავშირის პრეზიდიუმი ხომ მხოლოდ უკანონობის მხარეზეა. რას იზამ, ხელი ხელს ბანს... ორი სიტყვა მონკავშირის პრეზიდიუმთან შექმნილ სატრანსპორტო გაერთიანებაზეც ვთქვათ. გაერთიანებაში 5 კაცი მუშაობს (მძღოლების გარდა) და მხოლოდ 4 მანქანას ემსახურებიან — ვგონებ, ყველაფერი დღესავით ნათელია.

მონკავშირის სისტემაში არსებული სავალალო მდგომარეობის თავი და ფავი ისევ კადრების შერჩევაში უნდა ვეძიოთ. კომუნისტური რეჟიმის ბატონობის დროს, იყო ასეთი ტენდენცია, რომ მონკავშირის სისტემის თანამშრომლებად ნიშნავდნენ ყოფილ ხელმძღვანელებს, პენსიონერებს. რა სურათი გვაქვს ამჟამად? მონკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ბატონი ნიკო მგელიაშვილი, ყოფილი რაიკომის მდივანი გახლავთ, რა ხანია სამოცდაათ წელს გადააბიჯა.

ოთხმოცი წლის, რუსეთის არმიის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი შოთა კალანდაძე — ბატონი ნიკოს მოადგილე გახლავთ, იგი ათეული წლების მანძილზე რუსეთში ცხოვრობდა და ერისათვის იოტისოდენაც კი არაფერი გაუკეთებია.

მთავარი ბუღალტერი, ბატონი გ. მახარაძეც ასევე გადამდგარი პოლკოვნიკია, იგი მალე 75 წლის შესრულდება და სულაც არ ფიქრობს თავისი შემცვლელი კადრის მომზადებას.

განყოფილების უფროსი, მ. შიუკაშვილი — პენსიონერი გახლავთ და სულაც არ მალავს ქართველი ერისადმი და გამათავისუფლებელი მოძრაობისადმი მტრულ დამოკიდებულებას. ეს მის ყოველდღიურ საქმიანობაში და რეპლიკებში გამოიხატება.

მონკავშირის მრავალდარგოვანი კომბინატის დირექტორმა, ბატონმა კაპიტონ გაფრინდაშვილმა დიდი ხანია სამოცდაათს გადააბიჯა. იგი ძველი ბოლშევიკი და „სუკი“-ს გადამდგარი პოლკოვნიკია... მაგრამ მთავარი მაინც ეს არ არის. ეს ზემოთდასახელებული კარგი ხალხი დღემდე ვერ შელევიან ალისფერ პარტბილეთებს, მისტირიან რა ძველ, პრივილეგირებულ დროს და, ალბათ, პუტჩის დამარცხების შემდეგ ის იმედის ნაპერწკალიც ჩაუქრათ. გულში რომ უღვიოდათ. რას იზამთ, ბატონებო, დრონი მეფობენო და არა მეფენი!

მონკავშირის პრეზიდიუმის საკადრო პოლიტიკის სისუსტე იმაშიც გამოიხატება, რომ წლების მანძილზე მათ არც ერთი რაიონის საზოგადოების თავმჯდომარე არ შეურჩევიათ — ყოველთვის ამტკიცებდნენ რაიკომებისა თუ აღმასკომების მიერ წარმოდგენილ კანდიდატურებს. სწორედ ამის შედეგია, რომ თავმჯდომარეებად არიან არჩეულნი: რაიკომის მდივნების ყოფილი მძღოლები, საწყობის გამგეები, კოლმეურნეობების ყოფილი თავმჯდომარეები, პარტიული და პროფკავშირული მუშაკები. სულაც არაა საჭირო რომ მონადირე იყო. თვით მონკავშირის პრეზიდიუმშიც კი თავს აფარებენ სამსახურებიდან დათხოვნილი და, წარმოიდგინეთ, ნასამართლევი პირებიც კი. აპარატის მუშაკთა უმეტესობა მოუმზადებელი კადრებითაა შევსებული.

არ მინდა ბნელ ფერებში დავხატო ყველაფერი. ჩვენი სექცია, რომელიც 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ შეიქმნა, ფაქტობრივად დაშლის პირასაა მისული, იმიტომ, რომ ჩვენი ხმა ვერავის გავაგონეთ. სექციის წევრები: ირაკლი ბერიაშვილი, გიორგი სურგულაძე, ზურაბ კერესელიძე და სხვები იბრძვიან იმისათვის, რომ ამ სფეროში ჯანსაღმა აზრმა გაიმარჯვოს. არიან სისტემაში ახალგაზრდები, საკმაოდ მაღალი დონის ნადირობათმცოდნეები — ა. არაბული, ლ. ჟორდანია, ჟურნალისტი და ეკონომისტი დ. ბოკუჩავა, ლ. გოგოლაური და სხვები. რომლებსაც თავისუფლად შეიძლება ჩავაბაროთ ეს საქმე.

ჩემი მიზანი სულაც არ არის ამ საგაზეთო სტატიაში სრულად მიმოვიხილო ან გავაანალიზო მონკავშირის სისტემაში არსებული სავალალო მდგომარეობა. ამით, ვფიქრობ, მომავალში უფრო კომპეტენტური ორგანოები დაინტერესდებიან. ჩემი მიზანი გახლდათ გადმომეცა 80 000 მონადირის სურვილი — საქართველოში აყვავდეს ეს ულამაზესი და ვაჟკაცური სპორტი, რომელსაც ოდითგანვე მისდევდა ქართველი კაცი.

აქვე მინდა დავსძინო, რომ საქმე ვერ მოითმენს 1992 წლის ნოემბრის ყრილობამდე. ამიტომ ვთხოვთ იმ სამთავრობო ორგანოებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ამ საკითხით, მხარში ამოგვიდგნენ რათა დროულად ჩავატაროთ ნამდვილი, დემოკრატიული არჩევნები. დაე, ღირსეულმა პიროვნებებმა დაიკავონ ხელმძღვანელი თანამდებობები. ნადირობა ხომ მომავალში ბიზნესის წყაროდაც შეიძლება ვაქციოთ.

**ზვიად ბუთურიშვილი,**
ეკოლოგიურ ასოციაციასთან არსებულ მონადირეთა სექციის პასუხისმგებელი მდივანი.

# ღია წერილი

(დასასრული)

„1200 თბილისური ოჯახისათვის“, „ვაკის მოსახლეობისათვის“, „ყველა თბილისელისათვისო“.

არა, ჩემო კარგებო, ასე სულაც არარის საქმე. არ აინტერესებს არცერთ ვაკელს, არცერთ თბილისელს თუ ვის შეხვდება სტუდქალაქის ტერიტორიაზე გამოთავისუფლებული მიწა, იგი აინტერესებს, როგორც რამდენიმე თვის უკან ტელევიზიით ვნახე ნინელი კიკნაველიძეს, რომელიც თურმე მარტოდმარტო ცხოვრობს ოთხოთახიან ბინაში. არავინ კითხულობს რა საშუალებით, როგორ? ამბობენ იგი ქირურგიის ინსტიტუტის კოოპერატივის იმ სახლის მშენებლობის თავმჯდომარე ყოფილა, სადაც შემდეგ ოთხი ოთახი იბოძა. რატომაც არა. ერთი მეხუთედიც არ არის იქ მაცხოვრებელი ქირურგიის ინსტიტუტიდან და, რა თქმა უნდა, საკმაოდ დარჩებოდა სახსრები 4-ოთახიანი ბინის ასაშენებლად. ღმერთმა შეარგოს, მაგრამ რატომ ნერვიულობს ამდენს, რატომ წვალობს, რატომ ხარჯავს ამდენ ქაღალდსა და სახსრებს, რათა მიაღწიოს უნივერსიტეტელთა საზიანო მიზანს?

მე ვეტყვი წერილის ერთ-ერთ ავტორს ქალბატონ თამარ ებრალიძეს: კიკნაველიძე საქმოსანი ქალბატონია. წინააღმდეგ შემთხვევაში ამხელა სახლის მშენებლობას ვერ უხელმძღვანელებდა. მშენებლობის პროცესში ეტყობა მან მიაგნო ფულის შოვნის გზას: დაიგულა ბინის აშენების მსურველნი, შეჰპირდა მათ ყაველაშვილთან საქმის ჩაწყობას და სწორედ ამ მიწის ნაკვეთის გამოყოფას; რა თქმა უნდა, თავმჯდომარე თუ ვინ იქნებოდა გარკვეულია.

აი, რატომ ვერ თმობს იგი მიწის ამ ნაკვეთს და რას არ იგონებს, რომ ეს მიწა ეკლესიის ასაშენებლად უნდათ ვაკელებს, იგი ახალგაზრდული ცენტრისათვის უნდათ და ა. შ.

ეკლესიის მშენებლობა თბილისში მალე დაიწყება, მისი პროექტი ტელევიზიით ყველამ ნახა. სხვა ეკლესია ჯერჯერობით გათვალისწინებული არ არის.

მკრეხელობაა იმის მოთხოვნა, რომ თბილისის ყველა უბანში და ყველა კვარტალში ეკლესია მოვითხოვოთ. უწმიდესმა და უნეტარესმა თქვენზე და ჩვენზე უკეთ იცის სად უნდა აშენდეს ეკლესია. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს.

ისე, არ არის ზნეობრივად მთლად გამართული რედაქციის სახელით წერილის გამოქვეყნება, რედაქციის სურვილის განცხადება წერილში, რომელსაც მხოლოდ მისი რიგითი თანამშრომელი აწერს ხელს. რაც შეეხება ამ წერილის ტონს, მის შინაარსს და სისწორეს იმ ერთი თანამშრომლის ტენდენციურობასა და თუ გნებავთ არაკომპეტენტურობით მეტყველებს, რომელიც ხელს აწერს წერილზე.

„ლიტერატურული საქართველოს“ რედკოლეგიის შემდეგ, ალბათ, ასეთი შემადგენლობის რედკოლეგია არც მეგულება, მასში თვით საქართველოს პრეზიდენტიც ფიგურირებს და ამ დროს ასეთი უსუსური წერილი? დასადგენია თუ რა ალიანსი არსებობს ამ ორ ქალბატონს შორის.

ზემოქმულის ნათელი დადასტურებაა ისიც, რომ უნივერსიტეტის კოოპერატივი ჯერ კიდევ 1980 წელს არის შექმნილი და აქამდე უსაშველოდ გაჭიანურდა მისი მშენებლობა, ამგვარი არაობიექტური ჩარევების შედეგად. ჯერ იყო და ბაგებში ყაველაშვილის მიზეზით უკვე დაწყებული მშენებლობა აკრძალეს, ახლა აქაც ხელს უშლიან, სხვადასხვა უსაფუძვლო მიზეზებით და არად აგდებენ იმ 200-მდე პროფესორ-მასწავლებლის ბედს, რომლებიც თბილისში უბინაოდ ცხოვრობენ. ტელევიზიით ხომ ვნახეთ თუ როგორ ცხოვრობს ზოგიერთი პროფესორი სტუდქალაქში, თუ ამას საერთოდ ცხოვრება ჰქვია.

წერილის ავტორებს მკითხველთა შეცდომაში შესაყვანად ისეთი აზრი აქვთ გატარებული, თითქოს „ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ უბანში თავისუფლდება საკმაოდ დიდი ტერიტორია“. კი არ თავისუფლდება უკვე 2 წელიწადია თავისუფალია და უნივერსიტეტმა იქ მშენებლობაც დაიწყო შარშან თუ მიმდინარე წელს, ზუსტად ვერ გეტყვით. ამჟამად მიმდინარეობს მშენებლობა და იგი უფრო ინტენსიურად წარიმართებოდა რომ არა მთავრობის დადგენილება სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით.

ასე, რომ ჩემო კარგებო, დადგა დრო თავი დავანებოთ სხვის საქმეებში უსაფუძვლო ჩარევას, ხელის შეშლას, ხელისუფლების ორგანოების შეცდომაში შეყვანას, ამდენი ქაღალდის ხარჯვას. ჯობია ექიმმა თავისი საქმე აკეთოს და პაციენტებს მიხედოს, ხოლო რედაქციის თანამშრომლებს კეთილშობილურ თემაზე საწერ მასალას რა გამოულევს!

არ გეგონოთ სხვა რამე მამოძრავებდეს, გარდა თბილისელობისა, გარდა იმისა, რომ ჩემი სათქმელი გულში ველარ ჩავტიე ამდენი უსამართლობის გამო.

იმედი მაქვს წერილი მიზანს მიაღწევს.

(სტილი დაცულია).

**ოთარ ბერიშვილი**
საქ. რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის წევრი.

**რედაქციისაგან:** მართებულად არ მიგვაჩნია ვრცელი კომენტარის გაკეთება წერილზე, რომელსაც ხელს აწერს ადვოკატთა კოლეგიის წევრი და რომელშიც ორი პიროვნების მიმართ წამოყენებული საკმაოდ სერიოზული ბრალდებები ეფუძნება გაგონილს და ვარაუდს — „ამბობენ“, „თურმე“, „ეტყობა“. ბატონ ადვოკატს ჩვენგან არ უნდა ესწავლებოდეს, თუ რომელ ინსტანციას მიმართავენ, როდესაც საქმე ეხება დანაშაულს. დაუსაბუთებელ ბრალდებას კი ცილისწამების კვალიფიკაცია ენიჭება და ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში კანონით ისჯება. როგორც ჩანს, ბატონ ადვოკატს დაუსჯელობის სინდრომი აბედვინებს ელემენტარული პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევას; სხვა შემთხვევაში, იგი რბილად რომ ვთქვათ, მეტ თავშეკავებას გამოიჩენდა, ამ საკითხზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგან გამოპასუხების ღირსად არ მიგვაჩნია ერთის მხრივ ესოდენ დაბალი კვალიფიკაციის მქონე იურისტი, ხოლო მეორეს მხრივ პიროვნება, რომელიც საკუთარ გულწრფელობაში („არ გეგონოთ სხვა რამე მამოძრავებდეს“) ჩვილ ბავშვსაც კი ვერ დაარწმუნებს.

აქ სხვა საკითხზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. საინტერესოა, რა ვალი ადევს ქართველ ხალხს უნივერსიტეტის თანამშრომელთა, პროფესორ-მასწავლებელთა იმ თაობისაგან, რომელსაც ბოლო ათწლეულში უკვე მეექვსე კოოპერატიული მშენებლობა აქვს გამოწყებული მხოლოდ ვაკეში. ან ეს 200 პროფესორი სად მოღვაწეობს და თუ იგრძნობა ჩვენს საზოგადოებაში მათი პროფესიული გარჯის ნაყოფი; თუ ძირითადად საკუთარი საბინაო პრობლემის მოგვარებაზე არიან გადაგებულნი? იქნებ ერთხელ და სამუდამოდ წარმოგვიდგინონ საკუთარი თამასუქები უნივერსიტეტელებმა, რათა საქართველომ იმის გათვლა მაინც შეძლოს, თუ როდის მოახერხებს უნივერსიტეტის (და არა მხოლოდ უნივერსიტეტის) ვალის გასტუმრებას.

ხაზს ვუსვამთ — ამგვარ ინტერესს უნივერსიტეტის თანამშრომელთა კონკრეტული თაობის მიმართ ვიჩენთ, თორემ ბატონ ივანე ჯავახიშვილისა და მის თანამოაზრეთა ვალს ვერც გადავიხდით და ნურც შევეცდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი აუქციონი

**რესპუბლიკის საინფორმაციო საშუალებებმა მოსახლეობას უკვე აუწყეს იმის შესახებ, რომ თბილისში ა/წლის 15 სექტემბერს მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა, ჩატარდა აუქციონი და 500 ათას მანეთად გაიყიდა უძრავი ქონება, კერძოდ კი გამსახურდიას გამზირზე მდებარე ყოფილი მაღაზია „გოლიათი“. ამ ხიაბლემ მთელს რესპუბლიკაში ცხოველი ინტერესი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია.**

**ამასთან დაკავშირებით აზრის გაზიარება ვთხოვეთ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ეკონომიკური რეფორმებისა და ადგილობრივი მმართველობის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ბატონ ამირან ხეცურიანს. აი, რა გვიამბო მან.**

**ალნიშნული** აუქციონი დიდხანს მზადდებოდა და მის ჩატარებაზე დიდი იმედი იყო დამყარებული. აუქციონს სხვადასხვა დატვირთვა უნდა ეკისრა. ჯერ ერთი, იგი უნდა გამხდარიყო აპრობაცია სახელმწიფო ქონების სამომავლო პრივატიზაციის ერთ-ერთი ფორმისა; აუქციონს პრაქტიკულად უნდა გამოევლინა იმ კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების ძლიერი და სუსტი მხარეები, რომლებიც პრივატიზაციის ჩატარებასთან დაკავშირებით მუშავდება; ამასთანავე, ასეთ ღონისძიებას უნდა მოეხდინა ფსიქოლოგიური ბარიერებისა და არსებული სტერეოტიპების სრული მსხვრევა თუ არა, მათში ბზარის გაჩენის პრეცედენტი მაინც.

კლასიკურმა მონოპოლისტურმა საბჭოურმა სახელმწიფოებრივმა წყობამ გაძარცვა და გაალატაკა ხალხი. ისინი ხომ თავიანთი შრომის ანაზღაურებად მხოლოდ გროშებს იღებდნენ, დანარჩენი სახსრები კი სახელმწიფო ხაზინაში მიდიოდა. აქედან გამომდინარე მოსახლეობის ერთი ნაწილი მიიჩნევს (მოითხოვს კიდეც), რომ ახალმა ხელისუფლებამ უნდა გამოასწოროს კომუნისტი წინამორბედების შეცდომები და უფასოდ გადასცეს ხალხს მათ ხარჯზე შექმნილი ქონება. მეორეს მხრივ, გარკვეული სოციალური ფენის წარმომადგენლები, ძირითადად სამინისტროთა და უწყებათა მესვეურნი მიიჩნევენ, რომ უწყებრივი ობიექტები მათი საკუთრებაა და სახელმწიფოს ნაკლებად ეკითხება მათი ქონების სამომავლო ბედიღბალი. ჩვენის მხრივ კი ვეძებთ ისეთ ფორმებს, რომელიც მოხსნის არსებულ წინააღმდეგობებს და რაც მთავარია, სათანადოდ დაიცავს სახელმწიფოს ინტერესებს.

ქონების პირველი, საცდელი გაყიდვისათვის მზადებისას გადაწყდა, რომ შერჩეულიყო ამის ყველაზე „მძაფრი“ ფორმა, რომელიც თვალნათლივ დაგვანახებდა ასეთ ოპერაციებთან დაკავშირებულ ყველა სირთულეს. ამიტომ პრიორიტეტი აუქციონს მიენიჭა. ეს ფორმა საშუალებას მოგვცემდა, მოგვეზიდა ნაღდი ფული (ფულის ნიშანი) ან ვალუტა, შეგვესწავლა სხვადასხვა სოციალური ფენის რეაქცია და პრივატიზაციის ეს პირველი მცდელობა პრივატული სექტორითვე (იგულისხმება ბირჟა) გაგვეხორციელებინა.

ამ მიზნით შერჩეულ იქნა ობიექტი, საზოგადოებისათვის იგი უკვე ცნობილია, ეს არის მაღაზია „გოლიათი“. ჩატარდა ქონების ინვენტარიზაცია და მოხდა მისი შეფასება. სასტარტო ფასად დაწესებულ იქნა 500 ათასი მანეთი. იმასთან დაკავშირებით, რომ ჯერ არ არის მოქმედებაში კანონი პრივატიზაციის შესახებ, მიღებულ იქნა კანონქვემდებარე აქტები. ამასთანავე საგრძნობლად გამარტივდა ზოგი ნორმატიული დოკუმენტიც.

უნდა აღინიშნოს, რომ აუქციონის ჩატარებას მრავალი წინააღმდეგობა შეხვდა, მათი ნაწილი ობიექტური, გასაგები და ბუნებრივიც კი იყო, ნაწილი კი არავითარ ობიექტურობას არ ექვემდებარებოდა. ასეთთა რიგს განეკუთვნება ის წინააღმდეგობა, რაც ვაჭრობის მუშაკების მხრიდან შეგვხვდა იმის თაობაზე, რომ ეს არის მათი საკუთრება და არავითარი უფლება არა აქვს სახელმწიფოს მისი გაყიდვისა. დიდი მცდელობა დასჭირდა იმის დამტკიცებას, რომ ეს ქონება სახელმწიფომ გადასცა ვაჭრობის სამინისტროს და ახლა იბრუნებდა უკან ახალი მფლობელისათვის გადასაცემად. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მეორე მხარეს მიეცა წინადადება ამ აქტის სასამართლო წესით განხილვისა.

სრულიად გასაგები, მოსალოდნელიც კი იყო ის ობიექტური წინააღმდეგობები, რაც თვით მაღაზიის მუშაკების მხრიდან შეგვხვდა. ისინი მოითხოვდნენ გარანტიებს მატერიალური ანაზღაურებისა, სამომავლო დასაქმებისა და სხვა.

საბოლოოდ ყველა დაბრკოლება გადაილახა, მოინახა კომპრომისი და აუქციონი შედგა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ აუქციონი სუსტად ჩატარდა. ობიექტი საწყის ფასად თვით კოლექტივმა შეიძინა, რომელთაც „დამფრთხალი“ კონკურენტები არც კი შესცილებიან. სავარაუდოა, რომ აქ ჩამოყალიბდება სამეურნეო ამხანაგობა, რომელიც, როგორც ამ საქმის პირველი მერცხალი, მაქსიმალურ დახმარებას მიიღებს სახელმწიფოსაგან. გადაწყვეტილია, რომ პირველი 3 წელი ობიექტი არ შეიცვლის პროფილს. ამ ხნის გასვლის შემდეგ კი მათ ნებისმიერი საქმის დაწყება შეუძლიათ.

დასასრულ, მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ საცდელი აუქციონის ჩატარება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მომავალში ქონების პრივატიზაცია მოხდება მხოლოდ ამ ფორმით. აუქციონი იქნება უძრავი ქონების გაყიდვის ერთ-ერთი ფორმა და არა ერთადერთი.

ჩაიწერა
**ნარდიონ გამყრელიძემ**

# შემკვეთის თვალით დანახული

**ტრადიციულად,** როდესაც გამომცემლობის ავ-კარგზე საუბრობდნენ, იმ ორგანიზაციებს გულისხმობდნენ, რომლებიც წიგნის გამოცემის საქმეს ემსახურება, ჟურნალ-გაზეთების გამომცემელი კი ყურადღების მიღმა რჩებოდა.

ადრე ჟურნალ-გაზეთების გამოცემის საქმეს ავადსახსენებელი კომპარტია უშუალოდ თავად ხელმძღვანელობდა და გამომცემლობაც ჩვენში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ეკუთვნოდა. გამომცემლობა იყო კომპარტიის იდეოლოგიური საქმიანობის ერთ-ერთი დამატებითი რგოლი და რაც მთავარია, მატერიალური უზრუნველყოფის მძლავრი წყარო-ბეღელი. ამიტომაც კომპარტია მისი არსებობის უკანასკნელ დღემდე გამომცემლობას ჯიუტად თავის საკუთრებად თვლიდა და შემოსავლის ლომის წილიც მიჰქონდა.

ასეთ ვითარებაში გამომცემლობის სტრუქტურა და მუშაობის სტილი უკანასკნელ დრომდე ძველებური რჩება. მას უცვლელად ხელმძღვანელობდნენ ის ადამიანები, რომლებიც თავის დროზე საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა ცნობილი მეთოდით ძირითადად პარტიული ფუნქციონერებისაგან შეარჩია და მისი სათაყვანებელი პატრონის სკკპ საქმეთა მმართველობამ აკურთხა.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ამ ორი სახის გამომცემლობას, წიგნის და ჟურნალ-გაზეთების, ერთმანეთისაგან მკვეთრად განასხვავებს. კერძოდ, გამომცემლობებს, რომლებიც წიგნად პროდუქციას ქმნიან საკუთარი პოლიგრაფიული ბაზა არ გააჩნიათ. სტამბები ამ შემთხვევაში დამოუკიდებელი ორგანიზაციებია და მათ შორის ურთიერთობას არეგულირებს ორგანიზაცია, რომელსაც ამჟამად ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტი ეწოდება. ხოლო ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობას საკუთარი მძლავრი პოლიგრაფიული ბაზა აქვს.

ალბათ ესეც იყო იმის მიზეზი, რომ გამომცემლობებზე სჯა-ბაასი ერთ რანგში არ ხერხდებოდა და ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა განცალკევებით იდგა.

ამ და სხვა მიზეზების წყალობით ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობაში უკანასკნელ დრომდე სუფევს ძალზე მძიმე სიტუაცია, რომელიც, ჩვენის აზრით, სასწრაფო შესწავლას და გადაწყვეტას მოითხოვს.

როგორც ცნობილია, საქართველოში უკანასკნელ პერიოდში უამრავმა ახალმა ჟურნალ-გაზეთმა დაიწყო გამოსვლა. მათმა დიდმა ნაწილმა კი სწორედ ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ (როგორც ახლა მას ეწოდება) მოაკითხა. ეს მაშინ, როცა გამომცემლობის პოლიგრაფიული სიმძლავრეები იგივეა, რაც ორი წლის წინათ. უფრო მეტიც. მრავალი დაზგა-დანადგარი გაცვეთილი და მოძველებულია, ხოლო კვალიფიციური კადრების რიცხვიც არსებითად უკეთესობისაკენ არ შეცვლილა.

ასეთ პირობებში, გამომცემლობის პოლიგრაფიული ბაზა, თუ იგი შრომის ელემენტარულ პირობებს დაიცავდა, ახალი გაზეთების გამოშვებას ვერ შეძლებდა, არადა მათი რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა.

რა ხდებოდა?

გამომცემლობის მესვეურებმა შექმნილი პრობლემების გადასალახავად „ახალი“ ხერხები გამონახეს.

კერძოდ, გაზეთები თავისებურად ორ კატეგორიად დაჰყვეს და შესაბამისი სახელწოდებებიც შეურჩიეს, ძირითადი და დამატებითი.

ძირითადად გამომცემლობის მესვეურები მიიჩნევდნენ მხოლოდ იმ გაზეთებსა და ჟურნალებს, რომლებიც ჯერ კიდევ კომუნისტების ბატონობის დროს საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სისტემაში შედიოდა, ხოლო დამატებითად ყველა იმათ, რომლებიც არსებითად თავისუფალი პრესის ცნობის პირობებში ჩამოყალიბდა და უმეტეს შემთხვევაში კერძო საკუთრების პრინციპებით შეიქმნა.

ე. წ. ძირითადი გაზეთების რედაქციები ყველა იმ სიკეთით სარგებლობდნენ და სარგებლობენ, რაც კომუნისტების ბატონობის დროს გააჩნდათ — სამუშაო ოთახები და ავეჯი, ავტომანქანებით მომსახურება, ჟურნალისტისთვის საჭირო ტექნიკით მომარაგება, საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფა და ა. შ. გამომცემლობა ამ ტიპის გაზეთების გამოშვების გრაფიკსაც შეძლებისდაგვარად იცავდა.

ე. წ. დამატებითი გაზეთების რედაქციებთან ურთიერთობა კი გამომცემლობის მესვეურებმა სხვაგვარად ააწყვეს. კერძოდ, ამ გაზეთების ხელმძღვანელებს ორაზროვნად უთხრეს: მოელაპარაკეთ სამქროს ხელმძღვანელებს, ისინი დამატებით დროს გამონახავენ დამატებითი გაზეთებისთვის და დანარჩენი თქვენ იცით. ალბათ, ყველასათვის გასაგებია რა სახის გარიგებებზეა აქ ლაპარაკი.

ამ გარიგებების წყალობით ჟურნალების დროულად გამოცემის საქმე დაზარალდა. ახლა თითქმის ყველა ჟურნალი საგრძნობლად დაგვიანებით გამოდის. ზოლო ზოგიერთი მათგანი მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ თუ იხილავს მზის სინათლეს.

რა შეიძლება ეწოდოს ყოველივე იმას, რაც ასე აშკარად ხდებოდა გამომცემლობის კედლების შიგნით? სრული განუკითხაობა თუ...

მადლობა ღმერთს, კომუნისტების მიერ წლობით მითვისებული ხალხის ქონება კომპარტიის ლიკვიდაციის წყალობით ისევ ხალხს დაუბრუნდა, ხოლო გამომცემლობა „სამშობლო“ მინისტრთა კაბინეტის გამგებლობაში შევიდა.

ახალმა პატრონმა გამომცემლობას ახალი ხელმძღვანელი დაუნიშნა, რომელიც ენერგიულად შეუდგა საქმიანობას და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შედეგსაც მალე ვნახავთ.

ჩვენის აზრით, ალბათ, უპრიანი იქნება გამომცემლობაში სასწრაფოდ შეიცვალოს მართვის მოძველებული, კომუნისტური პრინციპები, შემცირდეს ადმინისტრაციული აპარატი და რაც მთავარია, დაინერგოს ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია. ბოლოს და ბოლოს დადგა დრო ჩვენშიც მწყობრიდან გამოვიდეს ადამიანის ჯანმრთელობისთვის ესოდენ მავნე ლინოტიპი, რომელიც საზღვარგარეთის ქვეყნებში კარგახანია სამუზეუმო ექსპონატია, და ადგილი დაეთმოს კომპიუტერულ ტექნიკას. საამისოდ კი, თვად გამომცემლობამ მჭიდრო ურთიერთობა უნდა დაამყაროს საზღვარგარეთის ქვეყნებთან, მიავლინოს კადრები კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ა. შ.

კიდევ უფრო ცუდად გამოიყურება ის ორგანიზაცია, რომელსაც ჟურნალ-გაზეთების გასაღება და ადგილზე მიტანა ევალება და რომელსაც ჯერ კიდევ რატომღაც „სოიუზპეჩატს“ ეძახიან.

სწორედ „სოიუზპეჩატის“ ნებასურვილზეა დამოკიდებული ძირითადად თუ რა ტირაჟით გამოვა ესა თუ ის გამოცემა, რადგან მისი კარნახით ფორმდება ხელშეკრულება „სოიუზპეჩატისა“ და გაზეთის რედაქციის შორის ამის თაობაზე. იმ შემთხვევაში თუ ტირაჟის გარკვეული ნაწილი გარკვეული დროის მანძილზე არ გასაღდა, თვითონ „სოიუზპეჩატის“ თანამშრომლები შეადგენენ სათანადო აქტს და ჩამოიწერება. სწორედ აქ არის, რომ იტყვიან, „ძაღლის თავი დამარხული“. გაზეთები, კერძოდ ე. წ. დამატებითი გაზეთები, საკმაოდ ძვირი ღირს და ადვილი შესაძლებელია მისი სრული გასაღების შემდეგაც შედგეს ყალბი აქტები ვითომცდა ნაწილის არგასაღების შესახებ, ხოლო შემოსული თანხა ნაძირალების ხელში აღმოჩნდეს. უფრო მეტიც, ხომ შეიძლება ტირაჟის გასაღების კვალობაზე სტამბაში დაიბეჭდოს ზედმეტი ეგზემპლარები და ისინი „სოიუზპეჩატის“ მიერ დაბრუნებულ იქნას როგორც ვითომცდა ვერ გასაღების საბაბით? მაშინ სად, ვის ჯიბეში მოხვდება მთელი ის თანხა, რომელიც სავსებით კანონზომიერი გზით შემოვიდა?

შეიძლება ვინმე შემოგვედაოს — ეს მხოლოდ ვარაუდებია და ასეთ საკითხზე მსჯელობა უხერხული ხომ არ არისო. ნაწილობრივ ვეთანხმები ამ შენიშვნას, მაგრამ ხალხში საკმაოდ მძლავრად დომინირებს ეს აზრი და გარკვეული საბუთებიც არსებობს ამ „ვარაუდის“ სასარგებლოდ...

არადა ძნელია, თითქმის შეუძლებელიც კია ყოველივე ამის დოკუმენტურად დასაბუთება და თუ მაინც რომელიმე დამნაშავე უშუალოდ ფაქტზე წაასწრეს და დასაჯეს, უმალ მის ადგილზე ახალი მსგავსი პიროვნება გაჩნდება და საქმეც ძველებურად წარიმართება.

საერთოდ გაზეთების გამოშვების მთელ ციკლში — რედაქცია-გამომცემლობა (სტამბა)-გასაღება („სოიუზპეჩატი“) — ნათლად იკვეთება ერთი გარემოება. ჯერჯერობით კერძო საკუთრება დანერგილია და მეტნაკლებად ამ პრინციპით მუშაობენ მხოლოდ ე. წ. დამატებითი რედაქციების უმრავლესობა, ხოლო გამომცემლობა და „სოიუზპეჩატი“ სახელმწიფო ორგანიზაციებია და მათ კონკურენტები არა ჰყავთ.

სარგებლობენ რა ამ მონოპოლიით, პირდაპირ უნდა ითქვას, ისინი უღვთოდ ექიდებიან ე. წ. დამატებით, კერძო საწყისებზე მომუშავე რედაქციებს. გამომცემლობას მიაქვს მთელი შემოსავლის 30 პროცენტი, ხოლო „სოიუზპეჩატს“ — 25 პროცენტი. ეს მაშინ, როცა გაწეული სამუშაო თავად რამდენჯერმე ნაკლები ჯდება. ამას რა თქმა უნდა ემატება ის სიმახინჯე, რაც ორივე ორგანიზაციაში ტრიალებს, რის გამოც საგრძნობლად, ხელოვნურად იზრდება გაზეთის წარმოების თვითღირებულება და შესაბამისად საცალო ფასიც.

და მაინც, ეს ე. წ. დამატებითი რედაქციები თავიანთ თანამშრომლებს გაცილებით მეტს აძლევენ ხელფასის სახით, ვინემ ე. წ. ძირითადი რედაქციები, რომელთა თანამშრომლების ხელფასები სახელმწიფოს მიერ არის განსაზღვრული.

ერთი შეხედვით, ამ მარტივი მაგალითითაც კი თვალნათლივ ჩანს თუ რა სიკეთის მომტანი იქნება კერძო საკუთრების დამკვიდრება, როგორც ინდივიდისათვის, ასევე თავად ხელისუფლებისათვისაც.

ალტერნატიული სამსახურის შექმნა, განსაკუთრებით გასაღების სფეროში, იმიტომაც არის აუცილებელი, რომ „სოიუზპეჩატს“ აშკარად არ ყოფნის კიოსკები და კიოსკიერები, რის გამოც გაზეთები ერთმანეთზე ყრია და მყიდველის მხედველობის არეში ვერ ხვდება. „სოიუზპეჩატის“ მესვეურები ამ გარემოებას არად დაგიდევენ, რადგან მათი ყურადღება სულ სხვა კუთხით არის გამახვილებული და სულაც არ აინტერესებთ ესა თუ ის გამოცემა როგორ გასაღდება.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი ამ სფეროში არის კერძო საკუთრების რაც შეიძლება სწრაფად დამკვიდრება. რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს გამომცემლობების და სტამბების პრივატიზაცია და ეს პროცესი სულაც არ უნდა იყოს ძნელი, რადგან პოლიგრაფიული საწარმოები არც ისე დიდი ობიექტებია, რომ მათი შესყიდვა კერძო პირებმა ვერ შეძლონ.

რაც შეეხება სახელმწიფოს, ჩვენის აზრით მის გამგებლობაში უნდა დარჩეს მხოლოდ ერთი გამომცემლობა და პოლიგრაფიული ბაზა, სადაც დაიბეჭდება უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო დოკუმენტები ქართული ფულის და ლატარიის ნიშნები და სხვა. ამავე დროს, იგივე საწარმო მოემსახურება პარლამენტის და მინისტრთა კაბინეტის კანცელარიებსაც.

**ვ. მესხიშვილი**

# ბაგრატ I კურაპალატი



„ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ერისმთავარ აშოტ I დიდის, კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ „კუალადცა ეუფლნეს სარკინოზნი ქართლსა", რადგან მისი შვილები, უფროსი ადარნასე, შუათანა ბაგრატ და უმცროსი გუარამ მცირეწლოვანნი იყვნენ და არაბებს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. სუმბატ დავითის ძეს „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა"-ში ვკითხულობთ — „და შემდგომად აშოტის სიკუდილისა, რომელ გარეთ ქუეყანა ჰქონდათ ძეთა აშოტისათა — წარუღეს სარკინოზთა, რამეთუ იყვნეს იგინი უსრულ ასაკითა. ხოლო რაჟამს სრულ-ასაკ იქმნეს იგინი, კუალადცა მოსცა ღმერთმან მათვე ყოველივე იგი ნაქონები მამისა მათისა. და ჯერეთ უსრულოდა იყვნეს იგინი ასაკითა, იზარდებოდეს ციხესა შინა არტანუჯისასა, და იყვნეს ხარკის მიმცემელ სარკინოზთა ყოველნივე ხევნი შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალისანი. ხოლო არტანუჯით გამოლაშქრეს დაიპყრეს მათი ნაქონები იგი მამულები მამისა მათისა, დასუეს ბაგრატ კურაპალატად. და წარმართა ღმერთმან ხელმწიფება მათი".

ტაო-კლარჯეთის მთავარი გახდა ბაგრატ I (826-876 წწ), რომელმაც დაახლოებით 830 წელს ბიზანტიის კეისრისგან „ქართველთა კურაპალატის" ტიტული მიიღო. ბაგრატ I აგრძელებდა მამის, აშოტ I დიდის პოლიტიკას, იბრძოდა საქართველოს გასაერთიანებლად, მაგრამ თავის მიზანს ვერ მიაღწია. ბაგრატ კურაპალატის დროს გრძელდებოდა ქვეყნის დაქუცმაცების პროცესი.

ბაგრატ კურაპალატის მამის, აშოტ კურაპალატის დროს ბაგრატიონთა სამთავრო ამიერკავკასიაში უძლიერეს პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. აშოტ I-მა შიდა ქართლი დაიპყრო და თავისი სამფლობელოს ფარგლები მნიშვნელოვნად გააფართოვა. მაგრამ შემდეგ ტაო-კლარჯეთის სამთავროს არაბებმა შემოუტიეს და აშოტ კურაპალატის მემკვიდრეებმა დაკარგეს შემოერთებული მხარეები, რადგან ცალ-ცალკე მოქმედებდნენ, თავთავისთვის იღვწოდნენ.

ბაგრატ I ცდილობდა არაბები გამოეყენებინა თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. 843 წელს იგი ხალიფას სარდალს, მუჰამედ იბნ ხალიდს მიეშველა თბილისის ამირა საჰაკისა და მისი მოკავშირე კახელების წინააღმდეგ ბრძოლაში (თბილისის საამირო ხალიფას აღარ ემორჩილებოდა, ამიტომ გამოგზავნა მან დამსჯელი ლაშქარი).

„ხოლო ვითარ მოვიდა მოჰამედ ქართლს და მიერთო მას ბაგრატ კურაპალატი, მაშინ გამოვიდა საჰაკ, ამირა ტფილელი, ლაშქრითა და დადგა რეხს, ხოლო მოჰამედ და ბაგრატ წარიღეს უფლისციხე და მოვიდეს კახნი გარდაბანელნი შეელად საჰაკისა; შეიბნეს რეხს და იყო ბრძოლა მათ შორის: არცა იგინი გაიქცეს და არცა იგინი, ვიდრემდის გაიყარნეს. აიყარა მოჰამედ და წარვიდა ბარდავს".

ბაგრატ I ტაო-კლარჯეთში დაბრუნდა და მალე თვით საჰაკის მოკავშირე გახდა, მაგრამ ქართლში ბუღა თურქის ლაშქრობისას (853 წ.) ბაგრატ კურაპალატი საჰაკის შეპყრობასა და ქართლში შემოჭრილ აფხაზთა მეფის ლაშქართან ბრძოლაში მონაწილეობდა.

„მატიანე ქართლისა" მოგვითხრობს — „მაშინ მოვიდა ბუღა თურქი, მონა ბაღდადით, რომელი გამოეგზავნა ამირ-მუმნსა, სპითა დიდითა: შემუსრა ყოველი სომხითი და ტყუე ყვნა ყოველნი მთავარნი მათნი. და მოვიდა და მოადგა ქალაქსა ტფილისსა, რამეთუ არა მორჩილობდა ამირა სააკ, მოკლა სააკ, შემუსრა ტფილისი, დაწუა ცეცხლითა და მოაოხრნა ყოველნი არენი მისნი.

და თევდოსი, მეფე აფხაზთა, გამოვიდა წინააღმდგომად მისა, და დადგა კუერცხობს. ხოლო ბუღა, ვითარცა ცნა, წარავლინა ზირაქ სპასალარი თვისი, და ბაგრატ, ძე აშოტ კურაპალატისა: შეიბნეს და გააქცივნეს აფხაზნი, და მოსწყდა სიმრავლე ურიცხვ და თევდოსი მეფე წარვიდა მეოტი გზასა დვალეთისასა.

კუალად უკუმოქცეულთა დაუდგეს წინა გარდაბანელნი ჯუარისგუერდსა, და აავნეს დიდად ლაშქარსა. ვითარ ცნა ბუღა, აღიყარა მუნით და მოვიდა ჰართალეთს, და დადგა მუნ შინა; აღიყვანნა მთიულთაგან მძევალნი, კაცი სამასი, და ლამოდა შესლვასა ოვსეთად, და შევიდა ცხვატამდის. ხოლო აბულაბაზ სომეხთა ერისთავმან და გუარამ აშოტის ძემან მიუწერეს მთიულთა: რათა არა შეუშუან. ხოლო მათ გაწირნეს მძევალნი მათნი. უშუელა ღმერთმან: რამეთუ მოვიდა თოვლი, დაუდგეს წინა და შეებნეს. მოსცა ღმერთმან ძლევა, და მოკუდა ურიცხვ ერი სარკინოზთა; და ცხენმან მათმან ძოვა იელი და დაიხოცა ფრიად. ხოლო სიმრავლისაგან ლაშქრისა არა აჩნდა დაკლება, რამეთუ იყო სიმრავლე მისი ვითარ ასოცი ათასი..."

ბუღა თურქის შემოსევამ საქართველოს დიდი ზიანი მოუტანა (არაბი მემატიანეს გადმოცემით მარტო თბილისში 50 000 კაცი მოკლეს), მაგრამ არაბებმა თავისი ბატონობის განმტკიცება მაინც ვერ შესძლეს.

ბაგრატ კურაპალატის ყველა მცდელობა ქვეყნის გაერთიანებისა უშედეგოდ დამთავრდა. თვით ტაო-კლარჯეთის სამთავროში მიმდინარეობდა ფეოდალური დაშლა-დანაწევრების პროცესი. სამთავროს სათავეში იდგა „კურაპალატი" ან „ქართველთა მეფე", „დიდი მთავარი" (ტაოს ბაგრატიონები), ხოლო არტანუჯელ-კლარჯი ხელმწიფეები ამ „დიდი მთავრების" ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ. ტაოს შტოში წარმოქმნილი განშტოებაც „მეფის" ქვეშევრდომი იყო, მაგრამ ეს დაქვემდებარება ნომინალურ ხასიათს ატარებდა. ამის დადასტურებაა ბაგრატიონთა სახლში „მამფალის" ინსტიტუტის არსებობა („მამფალი" ნაწარმოებია „დედოფალის" მსგავსად და გამოხატავს უფალთა მამობას, უფროსობას). პირველი „მამფალი" აშოტ კურაპალატის უმცროსი ვაჟი, ბაგრატ I-ის ძმა გუარამი იყო.

გუარამის მფლობელობაში იმყოფებოდა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი და არტაანი. თავისი სამფლობელო მან არაბებთან ბრძოლით და ქართული მიწების განთავისუფლების გზით მოიპოვა. გუარამ „ჰბრძოდა სარკინოზთა" — წერს მემატიანე — „ზოგჯერ სძლის გუარამ და ზოგჯერ სარკინოზთა". გუარამი აქტიურად იბრძოდა ბუღა თურქის წინააღმდეგ მიუხედავად იმისა, რომ საგვარეულო სახლის უფროსი ბაგრატი ბუღას მოკავშირე იყო. შემდეგ, როდესაც თბილისში გაამირებული გაბულოცი გაძლიერდა და საამიროს მეზობელი ტერიტორიის დაპყრობა იწყო, გუარამმა მის წინააღმდეგ გაილაშქრა.

„დადგა ამირად კაცი სააკის მონათაგანი, სახელით გაბულოც. ხოლო გუარამმა, ძემან აშოტ კურაპალატისამან, შეიპყრა გაბულოც და წარსცა საბერძნეთად: რამეთუ განდიდებულ იყო გაბულოც და დაემორჩილნეს გარდაბანელნი".

საინტერესოა „მატიანე ქართლისას" ცნობა, რომ გუარამმა არაბთაგან წართმეული მიწები თავის ძმებს გაუნაწილა — „ხოლო გუარამ განუყვნა ქუეყანანი ძმათა თვისთა ადარნასეს და ბაგრატს..."

ბაგრატ კურაპალატის დროს ტაო-კლარჯეთში გრძელდებოდა აშოტ კურაპალატის მიერ დაწყებული დიდი საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობა.

გიორგი მერჩულეს თხზულებიდან ვიგებთ, რომ გრიგოლ ხანძთელს შატბერდის შენების დროს ბაგრატ კურაპალატი შეეწია — „მაშინ სიხარულით უბრძანა ბაგრატ კურაპალატმან შენება მისი და მისცა ყოველივე სახმარი საშენებლად".

ბაგრატ კურაპალატის დროს აშენდა შატბერდი, ოპიზა, ზარზმა.

ბაგრატ კურაპალატმა დააწესა სახელმწიფოს საგანგებო დახმარება ღარიბ-ღატაკთათვის — „გლახაკთა ნაწილი".

„გარდაიცვალა ბაგრატ კურაპალატი... და დაუტევა სამნი ძენი: დავით, აშოტ და ადარნასე".

უშანგი ოგოლაძის ნახატი

---

# საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკონი

## ელიტა

**ელიტა** ფრანგული წარმოშობის სიტყვაა (ლათინური ძირიდან — eligere) და ზოგადად ნიშნავს, რჩეულს, საუკეთესოს. XVIII ს. დასაწყისიდან ეს სიტყვა გამოიყენებოდა უმაღლესი ხარისხის საქონლის აღსანიშნავად, შემდგომ — რჩეული ადამიანების, უპირველეს ყოვლისა, დიდკაცობის და პრივილეგირებული სამხედრო მოსამსახურეების აღსანიშნავად. ეს ტერმინი XIX-XX ს. ს. მიჯნამდე ფართოდ არ გამოიყენებოდა ლიტერატურაში, ხოლო ამერიკაში მხოლოდ ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში გავრცელდა. ამჟამად „ელიტა", „ელიტიზმი" (და არა „ელიტარიზმი") ყველგან ფართოდ არის გავრცელებული და როგორც ტერმინი მტკიცედ არის დამკვიდრებული სოციოლოგიურ და პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში იმ ფენის თუ ადამიანთა ჯგუფის აღსანიშნავად, რომლებიც სპეციფიკური პიროვნული თვისებებით და პროფესიული ღირსებებით გამოირჩევიან და ამის გამო გახდნენ რჩეულნი საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში. შეიძლება იყოს მმართველი ელიტა, მეცნიერთა ელიტა, სამხედრო ელიტა, ხელოვანთა, სპორტსმენთა და ა. შ.

საბჭოთა სოციოლოგიური მეცნიერება ერიდებოდა ამ სიტყვის ხმარებას და, ჩვეულებრივ, ე. წ. ბურჟუაზიული საზოგადოების ზედაფენის და რჩეული საზოგადოების აღსანიშნავად იყენებდა (და თანაც „რჩეული", როგორც წესი, ბრჭყალებში იყო ხოლმე ჩასმული).

ელიტის შინაარსის მარტივი სქემა ასეთია: ადამიანებს არ შეუძლიათ ერთმანეთის დამოუკიდებლად, იზოლაციაში ცხოვრება. ისინი სხვადასხვა ფორმით თანამშრომლობენ. ყოველგვარი კოოპერაცია საჭიროებს მართვას და შესაბამისად — იმ ადამიანებს, რომლებმაც უნდა მართონ. ამათ ჰქვია ელიტა.

ელიტა გარდუვალია ნებისმიერ საზოგადოებაში, რამეთუ სოციალური სტრუქტურის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია უმაღლესი, პრივილეგირებული ფენა (ფენები) და სხვა დანარჩენი ფენები — ადამიანთა მასა, რომელიც აუცილებელი არ არის ელიტას უპირისპირდებოდეს, როგორც ამას საბჭოთა სოციოლოგიური მეცნიერება ამტკიცებს.

ელიტას შეიძლება მიეკუთვნონ ის ადამიანები, რომლებმაც უმაღლეს ინდექსს მიაღწიეს თავიანთ საქმიანობაში; პოლიტიკურად ყველაზე აქტიური, ხელისუფლებაზე ორიენტირებული ადამიანები; საზოგადოების ორგანიზებული უმცირესობა; საზოგადოებაში მაღალი მდგომარეობის მქონე ადამიანები, რომლებიც სოციალურ პროცესებზე ახდენენ გავლენას; ადამიანები, რომლებმაც უმაღლეს პრესტიჟს, სტატუსს და სიმდიდრეს მიაღწიეს; ადამიანები, რომელთაც ინტელექტუალური და მორალური უპირატესობა აქვთ მასასთან შედარებით, მათი სტატუსის მიუხედავად; ადამიანები, რომელთაც ძალაუფლება აქვთ გარკვეულ ორგანიზაციებში და ინსტიტუტებში; საზოგადოების შემოქმედი უმცირესობა არაშემოქმედ უმრავლესობასთან შედარებით; ყველაზე კვალიფიციური სპეციალისტები; შედარებით მცირე ჯგუფები, რომლებიც იმ პირთაგან შედგება, რომელთაც წამყვანი მდგომარეობა აქვთ პოლიტიკურ, ეკონომიკურ ან კულტურულ ცხოვრებაში და ა. შ. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ განსაზღვრებათა კრიტერიუმები განსხვავებული და დაუზუსტებელია.

დასავლურ სოციალურ მეცნიერებაში გავრცელებული აზრია, რომ ისტორიულ პროცესში გადამწყვეტ როლს თამაშობს მმართველი ელიტა და არა ხალხთა მასები. კარდინალურ საკითხებს უკეთ წყვეტს კომპეტენტური ელიტა, რომელიც ყოველთვის უმცირესობაა. ლიდერთა ეს კასტა განსაზღვრავს ადამიანთა კოლექტივების ფასეულობით ორიენტაციებს.

ელიტა ცივილიზაციის იმანენტური ელემენტია.

ორი ათასი წლის წინ რომაელი სენატორი **აგრიპა** ამბობდა, რომ ქალაქობრიობის უმეტესი ნაწილი „გამწევი საქონლის" როლს თამაშობს და არ შეუძლია მწყემსის — არისტოკრატიის გარეშე არსებობა. ძველ ჩინეთშიც ქადაგებდნენ ელიტისა და მმართველთა იდეალიზაციას.

ანტიკურ ფილოსოფიაში **პლატონმა** უკვე მსოფლმხედველობა შექმნა ელიტაზე. ათენის არისტოკრატიის იდეოლოგი წინააღმდეგი იყო დემოსის მონაწილეობისა სახელმწიფოს მართვაში თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში. საერთოდ, პლატონის შეხედულებებმა უდიდესი როლი ითამაშა თანამედროვე ელიტიზმის თეორიის ჩამოყალიბებაში.

სოციოლოგიურ მეცნიერებაში თანამედროვე ელიტური თეორია ყალიბდება XIX-XX ს. ს. მიჯნაზე. მის ფუძემდებლებად ითვლებიან იტალიელი სოციოლოგები ვილფრედო **პარეტო** (1848-1923), გაეტანო **მოსკა** (1858-1941) და პოლიტიკური სოციოლოგიის ერთ-ერთი დამაარსებელი რობერტ **მიხელსი** (1876-1936). ელიტისტები იყვნენ ტ. კარლაილი, ფრ. ნიცშე, ჟ. სორელი, ხ. ორტეგა-ი-გასეტი, ნ. ბერდიაევი, თ. ადორნო და სხვები.

ყველა ელიტისტს, მათი განსხვავებული არგუმენტაციის მიუხედავად, საერთო ისა აქვთ, რომ ყველა მათგანი ანტიმარქსისტია, უარყოფენ სახალხო სუვერენიტეტს და სოციალურ სამართლიანობას როგორც რომანტიკოსთა უტოპიურ მითს. სოციალური ცხოვრების საფუძვლად აღიარებენ აგრეთვე სოციალურ უთანასწორობას და შეუძლებლად მიაჩნიათ თანასწორობის პრინციპი.

მეორე მსოფლიო ომამდე ელიტიზმის თეორია ფართოდ იყო გავრცელებული იტალიაში, გერმანიაში, საფრანგეთში; ომის შემდგომ კი — ამერიკაში.

ელიტიზმის თეორია თავიდან ბურჟუაზიული დემოკრატიის წინააღმდეგაც გამოდიოდა, მაგრამ 30-40-იანი წლებიდან ხდება მისი პრინციპების შეთავსება ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ინსტიტუტებთან. 50-70-იანი წლებიდან აშშ-ში უკვე „ელიტის ბალანსირებას" ქადაგებენ და აკრიტიკებენ „ხელისუფალი ელიტის" ვიწრო წრეს. თუ ბურჟუაზიის დასაწყის ეტაპზე ხალხის მმართველობის და ხალხთა სუვერენიტეტის იდეა ბატონობდა, ახლა ეს უტოპიად არის აღიარებული და ელიტიზმის იდეა ბატონობს.

ელიტის მსგავსი ცნებაა ლიდერი. ლიდერსა და ელიტას შორის განსხვავება ის არის, რომ ლიდერი, ჩვეულებრივ, გამოჩენილი პიროვნებაა, ხოლო ელიტა ის ფენაა საიდანაც ლიდერები მოდიან.

ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში ყალიბდება „გმირის" და „ბრბოს" კონცეფციები. აიდეალებენ ცალკეულ გამოჩენილ პირებს და საზოგადოების მმართველ ზედაფენას. ისტორიის სხვადასხვა ეპოქებში „კოლექტიური გმირის" როლს თამაშობდნენ მონათმფლობელური არისტოკრატია, ფეოდალები, ფინანსური ოლიგარქია, თანამედროვე ტექნოკრატია.

ელიტა ხშირად გამოჩენილ ადამიანთა, ე. წ. „ქარიზმატულ ლიდერთა" გენეტიკურ-ბიოლოგიური თავისებურებებითაა ახსნილი. დასავლელი და საბჭოთა სოციოლოგებიც აღიარებენ (და ამ შემთხვევაში თანხმობაა მათ შორის), რომ ადამიანური შესაძლებლობები და ტალანტი განსხვავებული, მრავალფეროვანია და თანაბრად არ არის განაწილებული ადამიანთა შორის.

პირველყოფილ საზოგადოებაში ელიტის გამოყოფა ობიექტური პირადი თვისებების საფუძველზე ხდებოდა და შეუძლებელი იყო ელიტური სტატუსის მემკვიდრეობით გადაცემა. შემდგომ ეპოქებში კი სულ უფრო ძლიერდებოდა ელიტის როლის მონოპოლიზირება. ამ ტენდენციამ თავის ზენიტს ფეოდალურ ეპოქაში მიაღწია, როდესაც ძალიან სუსტი იყო მოსახლეობის სოციალური მობილობა.

ნოდარ კერესელიძე

---

## გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში, მე-3 გვერდის პირველი სვეტის ბოლო აბზაცში, გაიპარა შეცდომა. წერია: „(აუკრძალეს მოსკოვს დაბრუნება)" უნდა იყოს: „(აუკრძალეს მოსკოვიდან თბილისს დაბრუნება)".

---

რედაქტორი მარიკა აბაიშვილი

სარედაქციო კოლეგია: ზვიად გამსახურდია, მუხრან მაჭავარიანი, თედო პაატაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, თემურ ჟორჟიძე, ნოდარ წულეისკირი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა № 14. ტელეფონი 98-31-57.

ინდექსი 66421

იბეჭდება ოფსეტური წესით ხოშარაულის ქუჩა № 29